სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 27 ივლისი 2006 №171 (2793) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინუს ერთი: „კოლხეთი" ფეხბურთი საიდანაც შემოვიდა, იქიდან გავიდა

საქართველოს მე-18 ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა ზეგ უნდ დაიწყოს, მაგრამ რამდენი გუნდი იქნება უმაღლეს ლიგაში, გუშინაც ვერ გადაწყდა, არადა, ფეხბურთის ფედერაციის გუშინწინდელი აღმასკომის ხხდომის შემდეგ ქართული ფეხბურთის მესვეურებმა გვითხრეს, საბოლოოდ რომელი გუნდები ითამაშებენ უმაღლეს ლიგაში, 26 ივლისს გაირკვევაო.

გუშინ საბოლოოდ მხოლოდ ის გაირკვა, რომ ფოთის „კოლხეთი" უმაღლეს ლიგაში ვერ ითამაშებს. „კოლხეთის" პრეზიდენტმა მერაბ ასანიძემ გვითხრა, გუნდი 2006-07 წლების სეზონში ვერც ერთ ლიგაში ვერ ითამაშებს უსახსრობის გამოო.

გორის „დილამ" და „ცხინვალმა" კი ფეხბურთის ფედერაციას თხოვნით მიმართეს, ერთი დღე კიდევ გვაცალეთო და ფედერაცია მათ თხოვნას დაყაბულდა. „დილას" გორის გამგეობის იმედი აქვს, „ცხინვალს" კი კერძო ინვესტორის. ერთი სიტყვით, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა დღემდე გაურკვეველია — თექვსმეტგუნდა უმაღლეს ლიგას ოფიციალურად ჯერ მხოლოდ „კოლხეთი" გამოაკლდა.

სიონს ბულგარეთის დიდი ნარსულიდან გაუჭანეს

ლევან შავგულიძემ და „სიონმა" დანიელ ბორიმიროვის „ლევსკის" ბოლომდე ვერ გაუძლეს

ერთხელ ჩახლართული აღარ გამოიხლართა

უეფა მილანს სინდისში ჩახედავს

ვილაამ იხუმრა, იტალიელები მსოფლიოს ჩემპიონები კორუფციული სკანდალების გარეშე ვერ ხდებიანო. ამ ხუმრობაში ბოლო ორი ტიტული იგულისხმება, 1982 წლისა და წლევანდელი. ორივეჯერ მუნდიალზე გამგზავრებას ქვეყანაში საფეხბურთო თაღლითობის გამოაშკარავება უძღოდა.

ახლა ძნელი სათქმელია, კიდევ როდის გაიმარჯვებს „სკუადრა აძურა" მსოფლიოს ჩემპიონატზე — კალჩოპოლის სკანდალი დასრულდა. ტრიბუნალისგან მკაცრად დასჯილმა გუნდებმა სააპელაციო სასამართლოსაც მიმართეს და ხვედრი შეიმსუბუქეს. ასე რომ, წერტილი დასმულია, თუმცა, როგორც „იუვენტუსის" ახალი პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი აცხადებს, წერტილს მიღმაც აპირებს ბრძოლას და შესაძლოა, სულაც სპორტსმენმაც გავიდეს — სამოქალაქო სასამართლოს მიმართოს. მის მსგავსად, ბრძოლის გაგრძელების სურვილი გამოთქვეს „ლაციოსა" და „ფიორენტინას" შერისხულმა თუ შეურისხავმა შეფებმაც, მაგრამ შორიდან თითქოსდა ომახიან ჰანგში ფალშიც ისმის.

ვითარების საბოლოო დადგენამ ფრიად გაანაწყენა „პალერმოს" შეფი მაურიციო ძამპარინიც, რომელსაც, აპელაცია რომ არა, გუნდის ჩემპიონთა ლიგაზე გაყვანა უწევდა, ახლა კი უეფას თასს უნდა დასჯერდეს.

„მილანი" ლიგაში დააბრუნეს. სასჯელი სადღაა?" — კითხულობს ძამპარინი.

თუმცა მთლად ასეც არ ყოფილა საქმე. ითამაშებს თუ არა „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე, დღეს გაირკვევა, მილანელთა ამბავს უეფაში საგანგებო კრება გადაწყვეტს. კრება კი სულ ოთხი კაცისგან შედგება: პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, თურქი ვიცე-პრეზიდენტი შენეს ერზიკი, უეფას ჰოლანდიელი ხაზინადარი ჯეუ სპრენგერსი და აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

უეფას პრესმდივანმა კი განმარტა: „საგანგებო კრების მოწვევა უიშვიათესი შემთხვევაა. თუ „მილანს" არ დაუშვებენ ჩემპიონთა ლიგაში, მაშინ მის ადგილს სხვა იტალიური, ან სხვა ქვეყნის კლუბი დაიკავებს. ეს კი საგანგებო კრების დასადგენია. მას შემდეგ, რაც ლიცენზირების სისტემა შემოიღეს, ეთიკის ნორმებს უდიდესი ყურადღება ექცევა, რაც იმას ნიშნავს, რომ სკანდალში გახვეული გუნდი შესაძლოა, ევროთასზე ვერ მოხვდეს".

ხოლო ზემოხსენებულმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ არეულობას ერთი სატრანსფერო ამბავიც შემატა — ფაბიო კანავაროს „რეალში" გაყიდვა ჯერ არ დასრულებულა, რადგან ჩვენ ხელი არაფერზე მოგვიწერიაო...

ლაპორტა სისულელეს დაეჯახა

პრეზიდენტი გასულია, მალე მოვა

ხუან ლაპორტა „ბარსელონას" პრეზიდენტობიდან გადადგა, უფრო სწორად კი, აიძულეს, გადამდგარიყო. და რა ძალა იყო, სულ რაღაც ორი თვის წინ პრიმერას და ჩემპიონთა ლიგის მომგებ პრეზიდენტს გადადგომას რომ აიძულებდა? ამ ძალას კანონი ჰქვია. კანონის თანახმად, „ბარსელონაში" პრეზიდენტს 4 წლით ირჩევენ, მერე კი ახალი არჩევნები ინიშნება. ხუან ლაპორტა 2003 წლის 22 ივნისს აირჩიეს, ანუ... დიახ, ანგარიში არ გეშლებათ, ლაპორტა პოსტზე მხოლოდ სამი წელია, რაც იმყოფება, მაგრამ ოთხად უანგარიშებენ. ამ ოინის საიდუმლო შემდეგშია: საკლუბო კანონით, წელი 1 ივლისიდან იანგარიშება, ანუ რამდენ 1 ივლისსაც ლაპორტა პრეზიდენტის სავარძელში შეხვდა, იმდენ ნამუშევარ წელს უთვლიან. სხვა სიტყვებით, 2003 წლის 22 ივნისიდან 2003 წლის 1 ივლისამდე პერიოდი, სულ რაღაც 8 დღე, ლაპორტას 1 წლად უანგარიშეს.

სულელური კანონია? როგორც გინდა იყოს, კანონი კანონია. ლაპორტას კლუბის დირექტორატის წევრმა ეს კანონი შეახსენა. ლაპორტას სისულელედ მოეჩვენა. დირექტორებმა სასამართლოში უჩივლეს. მოსამართლემ კი პრეზიდენტს კანონის დაცვა უბრძანა.

ლაპორტა გადადგა, რათა 10 სექტემბერს დანიშნულ არჩევნებზე კენჭი მომდევნო 4 წლით იყაროს. ალბათ არ გაუჭირდება.

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

მარტივი ფილოსოფია: ლევსკი, სოფია და კინაღამ არ ითვლება

სოფია. 26 ივლისი. 21.30 საათი. გეორგი ასპარუხოვი. 13 500 მაყურებელი

ლევსკი 2:0 სიონი

1:0 ე. ანგელოვი (21), 2:0 ბორიმოროვი (84პ)

ლევსკი: პეტკოვი, ტომაშიჩი, ერიმოიგბე, ბორიმოროვი, იოვოვი (კოპრივაროვი 77), ს. ანგელოვი, ტელკისკი (დომოვჩისკი 69), ვაგნერი, ბარდონი (ივანოვი 86), ე. ანგელოვი, ტოპუზაკოვი	სიონი: ბათიაშვილი, ფრიდოლინი, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი (ოქროპირიძე 89), ალავიძე, რაქვიაშვილი, ბაჯელიძე, შავგულიძე (ზ. ჭელიძე 64), ქუცურუა (კობაური 64), უგრეხელიძე, ჩასემი
სათადარიგონი: მიხაილოვი; მილანოვი, მინევი, ბორნოსუზოვი	სათადარიგონი: ბობღიაშვილი; ქარდავა, ევოჩე, ბ. ცხადაძე
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი	მწვრთნელი: კახა ცხადაძე

გაფრთხილება: ქუცურუა (36), კობაური (80), ერიმოიგბე (90)

მსაჯი: ფრიც შტუხლიკი (ავსტრია)

ბულგარეთის ნაკრების ოქროს თაობის ფეხბურთელმა, ამჟამად კი „ლევსკის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნასკო სირაკოვმა თქვა, სულ მცირე, 2:0-ს მოვიგებთო. სირაკოვი, ალბათ, უფრო მსუყე გამარჯვებას ელოდა, მაგრამ სიტყვა ფრთხილი თქვა და ანგარიში გამოიცნოსავით.

„ლევსკი“ ამ წყვილის უდავო ფავორიტად როგორც ითვლებოდა, გუშინდლის მერეც ისე დარჩა. „სიონის“ თავკაცმა კახა ცხადაძემ აკი მატჩამდეც თქვა, მეტოქე ჩვენზე ძლიერია, მაგრამ ჩვენ მათი არ გვეშინია, ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ვითამაშებთო.

ჯერ ისედაც საეჭვოდ მოჩანდა, ბოლნისელებს გოლი გაეტანათ „გეორგი ასპარუხოვზე“ და მით უმეტეს, როცა მთავარმეგოლე კოკა მიკუჩაძე დაკარგდათ_ მიკუჩაძე „სიონს“ სოფიაში კი ჩაჰყვა, მაგრამ იქვე მყოფ ებრაულ „ჰაპოელს“ შეუერთდა — გასინჯვაზეა მათთან.

ცხადაძემაც სასტუმრო მოდელი ირჩია და თავდასხმაში ეულად გამწესა კამერუნელი ჩასემი. „სიონმა“ დებიუტშივე დაცვა გაამაგრა, „ლევსკი“ კი შეტევას მიეძალა და მე-10 წუთზე დიმიტარ ტელკისკის დარტყმული ბურთი ემილ ანგელოვს მიუვიდა, რომლის გასროლილიც ოდნავ ასცდა ზურაბ ბათიაშვილის კარს. მალევე ნიგერიელმა ერიმოიგბემ და ანგელოვმა ზედიზედ ააწრიალეს „სიონის“ საჯარიმო, თუმცა ერთ დარტყმულს ბათიაშვილი გაუძალიანდა, მეორეჯერ კი ბურთმა ძელს ჩაუფრინა.

და მაინც, ქვემოქართლელებს სწრაფი გოლი ვერ ასცდათ: ანგელოვმა საჯარიმოს ხაზიდან ტექნიკურად დაარტყა და 1:0 — ეს 21-ე წუთზე მოხდა. იქვე ცხადაძის გუნდი მეორე გოლს გადაურჩა, როცა ტელკისკის ნაკუთხურალს ელინ ტოპუზაკოვმა ოდნავ ააცილა. ტაიმის მიწურულამდე კი ხრისტო იოვოს გაუცუდდა ხეირიანი შანსი, მერე კი ბათიაშვილმა ფრანგი სედრიკ ბარდონის შორეული დარტყმა მოიგერია.

მატჩი მთავრდებოდა, საქართველოს ჩემპიონი კი, ასე თუ ისე, დამაიმედებელ ანგარიშს ინარჩუნებდა, თუმცა ვერ გაძლო: 84-ე წუთზე ისევ ემილ ანგელოვმა იაქტიურა, პენალტი გამოიმუშავა და 35 წლის დანიელ ბორიმოროვმაც 11 მეტრიდან 2:0 გახადა.

კაცმა რომ თქვას, საშინელი და დამაქცევარი არაფერი მომხდარა: „სიონი“ კი არა, „ლევსკიმ“ წინა საევროტურნირო სეზონში ბუქარესტის „დინამო“, მარსელის „ოლიმპიკი“, ბრატისლავის „არტმედია“ და „უდინეზე“ წააქცია. სხვა საქმეა, რომ ბოლნისელების შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი მინიმუმამდე დაეცა — თუმცა არც გუშინდლამდე იყო ორმოცდაათი ორმოცდაათზე..

ილია ნანოგაშვილი

„სიონს“ ემილ ანგელოვმა ჯერ თავად გაუტანა, მერე კი პენალტიც მოინაგრა

ავსტრია
მაქსბუნდესლიგა. II ტური
რიდი 0:1 ტიროლი

რუსეთი
პრემიერლიგა. XIII ტური
რუბინი 0:0 შინიკი

ნორვეგია
ტიპელიგა
გადადებული მატჩი
ლილესტრომი — ბრანი გადადო

უკრაინა
უმაღლესი ლიგა. I ტური
დნიპრო 2:0 მეტალურგი (დ)

იაპონია
ჯეი-ლიგა. XV ტური
კავაზაკი 3:2 ბამბუ
ივატა 3:1 იოკოჰამა
ურავა 1:0 ოიტა
ფუკუოკა 1:2 შიმიცუ
სერეზო 1:5 ტოკიო
ნიიგატა 0:1 კაშიმა
კიოტო 1:2 იჩიჰარა
ნაგოია 2:0 ომია
ჰიროშიმა 1:3 კოფუ

შვედეთი
თასის მერვედფინალი
ვასბი 1:2დ.დ.(0:0) *კალმარი*

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი
ნახევარფინალი

ესპანეთი 5:0 ავსტრია | ჩეხეთი 0:1 *შოტლანდია*

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

შერიფი (მოლდოვა) 1:1 სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)
მეტალურგსი (ლატვია) 1:4 დინამო (კიევი, უკრაინა)
იურგორდენი (შვედეთი) 1:0 რუუმგერიკი (სლოვაკეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) 4:0 B-36 ტორსჰავნი (ფარერები)
ნოვა გორიცა (სლოვენია) 0:2 სტიაუა (რუმინეთი)
ციურიხი (შვეიცარია) 2:1 ზალცბურგი (ავსტრია)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 0:1 ლეგია (პოლონეთი)
დებრეცენი (უნგრეთი) 1:1 რაბოტნიჩკი (მაკედონია)
კოპენჰაგენი (დანია) 2:0 მიუპა (ფინეთი)
კორკ სიტი (ირლანდია) 0:1 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ჰართსი (შოტლანდია) 3:0 შიროკი ბრიგი (ბოსნია)
ბოლესლავი (ჩეხეთი) 3:1 ვოლერენგა (ნორვეგია)

ამხანაგური მატჩები

სირია 1:2 ერაყი
მიუნსტერი (გერმანია) 1:2 ჰამბურგი (გერმანია)
კაიზერსლაუტერნი (გერმანია) 3:1 ვერდერი (გერმანია)
მაკაბი (ფეთაჰ თიკვა, ისრაელი) 0:1 ფულემი (ინგლისი)
მიუნხენ 1860 (გერმანია) 3:0 პარტიზანი (სერბეთი)
სოშო (საფრანგეთი) 1:1 ბეშიქთაში (თურქეთი)
მარსელი (საფრანგეთი) 3:2 ლილი (საფრანგეთი)
პსჟ (საფრანგეთი) 1:1 სელტა (ესპანეთი)
კოტბუსი (გერმანია) 1:1 ატლეტიკო (ესპანეთი)
ძრიუ (ინგლისი) 0:2 ვულვერჰემპტონი (ინგლისი)
სელტიკი (შოტლანდია) 0:3 მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი)
ნორვიჩი (ინგლისი) 1:2 ნიუკასლი (ინგლისი)
საუთენდი (ინგლისი) 2:1 პორტსმუთი (ინგლისი)
მილუოლი (ინგლისი) 0:1 რედინგი (ინგლისი)
პორტ ვეილი (ინგლისი) 0:3 მანჩესტერ სიტი (ინგლისი)
ინტერი (იტალია) 1:1 მონაკო (საფრანგეთი)
სამპდორია (იტალია) 5:0 ბოლცანო (იტალია)
კრისტალ პალასი (ინგლისი) 2:1 ბოავიშტა (პორტუგალია)

უეფას თასი
პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი
საპასუხო მატჩი

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

27 ივლისი

ვიტ ჯორჯია — არტმედია

თბილისი ბრატისლავა

დასაწყისი 18 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარი

ტოპმიოლერმა ახალგაზრდები დააბერა

2 აგვისტოს გერმანიის ქალაქ ბიტბურგში საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები ესპანეთის პრიმერადივიზიონის კლუბ „ხეტაფეს“ ამხანაგურად გაეჯიბრება. გუნდი 19-წლამდელთა ნაკრების რამდენიმე მოთამაშით და ეროვნული ნაკრების სამი კანდიდატით იქნება გაძლიერებული.

მატჩს საქართველოს ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბიც დაესწრება კლაუს და ჰაინც ტოპმიოლერების, რალფ მინგეს და ბესიკ ფრიდონაშვილის შემადგენლობით.

კლაუს ტოპმიოლერმა ზურაბ იონანიძე, გრიგოლ ჭანტურია და გიორგი ონიანი 21-წლამდელთა ნაკრებს ერთი მიზეზით დაამატა — ისინი ეროვნული გუნდის კანდიდატებად განიხილებიან და მწვრთნელს მათი საქმეში ნახვა კიდევ ერთხელ სურს.

შეგახსენებთ, რომ 21-წლამდელთა ნაკრები 16 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრას გამართავს ლიტვაში მასპინძელთა ნაკრებთან, 3 სექტემბერს კი სერბეთს უმასპინძლებს.

გერმანიაში კი ჩვენი ახალგაზრდული გუნდი ასეთი შემადგენლობით გაემგზავრება:

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი, გრიგოლ ჭანტურია

მცველები: გულვერდ თომაშვილი, გიორგი ნავალოვსკი, ზურაბ გვაძაბია, გიორგი ონიანი, გიორგი სეთურიძე, შოთა კაშია.

ნახევარმცველები: მირზა ბჟალავა, გიორგი კახელიშვილი, გიორგი განუგრავა, ალექსანდრე კობახიძე, ალექსი ბენაშვილი, გიორგი მერებაშვილი, შოთა გრიგალაშვილი

თავდამსხმელები: ბექა გოცირიძე, ზურაბ იონანიძე, რატი წინამძღვრიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

მთავარია სწრაფი გოლი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ორბურთიანი ფორის ამოქაჩვა იმ გუნდთან, რომელმაც შარშან ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გლაზგოს „სელტიკი“ დაამარცხა, ჯგუფურ ეტაპზე მესამე ადგილზე გავიდა და მერე უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ბოლნისის „სიონის“ მეტოქე „ლევსკისთან“ დამარცხდა (0:1, 0:2), „ვიტ ჯორჯიასთვის“ ძალიან დიდი საქმე იქნება. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ახლანდელი „არტმედია“ შარშანდელთან შედარებით შეცვლილა მწვრთნელითაც და რამდენიმე ფეხბურთელითაც. „ვიტ ჯორჯიას“ ალბათ ისიც ამხნევებს, რომ ორი კვირის წინ „არტმედიასთან“ კი დამარცხდა, მაგრამ ბეჩავად არ უთამაშია და ვინძლო, დღეს უკეთესადაც გაისარჯოს.

აწონილმა სლოვაკებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ერთსაათიანი, მატონიზირებული ვარჯიში ჩაატარეს, იოხუნჯეს, იმდენივე ბურთი ჰქონდათ, რამდენიც იყვნენ, ვარჯიშის შემდეგ კი ჟურნალისტებს „არტმედიას“ მთავარი მწვრთნელი იოზეფ ადამეცი გაგვესაუბრა

ბადრი კეთილაძის ფოტოები

— „ვიტ ჯორჯიასთან“ პირველი მატჩი შეუპოვარი გამოდგა, სწრაფი თამაში წავიდა, იყო ბევრი ორთაბრძოლა, მაგრამ ორივე გუნდი ფეირ ფლეის პრინციპებს იცავდა. „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელები მომეწონნენ, ისინი კარგად მოძრაობდნენ და უტევდნენ, აღსანიშნავია მათი ტექნიკაც.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ თბილისურ მატჩზე რას იტყოდით?

— მძიმე თამაში იქნება, ისევე, როგორც პირველ მატჩში, ახლაც მოგება გვინდა და მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

— წინა სეზონთან შედარებით „არტმედია“ დიდად შეცვლილია?

— გუნდი მართლაც მნიშვნელოვნადაა შეცვლილი.

— და რა არის მთავარი ცვლილება გუნდში?

— არ ღირს იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენი ფეხბურთელი წავიდა და მოვიდა გუნდში, ჩვენ კვლავაც თერთმეტი კაცით გავალთ მოედანზე.

— „არტმედიას“ წამყვანი ფორვარდები, ლუბომირ რეიტერი და ლუკაშ ჰარტიგი რატომ ვერ ჩამოვიდნენ თბილისში?

— ისინი ტრავმირებულნი არიან, სლოვაკეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდნენ.

— „ვიტ ჯორჯიას“ როგორ დაახასიათებდით, მიგაჩნიათ ის ისეთ გუნდად, რომელსაც „არტმედიას“ დამარცხება შეუძლია?

— ფეხბურთში ყველას აქვს გამარჯვების შანსი და მათ შორის „ვიტ ჯორჯიასაც“.

— პირველი მატჩი 2:0 მოიგეთ და ახლა დაცვით ვარიანტს აირჩევთ?

— ჩვენი ტაქტიკის შესახებ ჯერ ჩემმა ფეხბურთელებმაც არაფერი იციან.

— მოედნის ხარისხით კმაყოფილი ხართ?

— ყველაფერი რიგზეა.

— არის „არტმედია“ ახლა იმ კონდიციაში, როგორიც შარშან იყო „სელტიკთან“ დაპირისპირებისას?

— ფეხბურთში ყველაფერია შესაძლებელი...

სლოვაკეთის ჩემპიონატში ორი ტურია ნათამაშები და „არტმედიას“ სამი ქულა აქვს. ბრატისლაველებს რეიტერის და ჰარტიგის გარდა (პირველ მატჩში მათ გაუტანეს ვიტელებს) ასევე ტრავმიანი ნახევარმცველი სტრაკა არ ეყოლებათ.

როგორც კი „არტმედია“ ვარჯიშს მორჩა, „მიხეილ მესხის“ მინდორზე ვიტელები გამოჩნდნენ და მათ დამრიგებელ **ნესტორ მუმლაძეს** ვარჯიშის წინ დავუსვით კითხვები...

— ტრავმირებული არავინ გვყავს, მატჩისთვის სერიოზულად ვემზადებოდით, ძნელი შეხვედრა კი გველის, თუმც მიმაჩნია, რომ შეგვწევს ძალა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

— რა ახასიათებს „არტმედიას“ თამაშს?

— ფლანგური შეტევა და დიაგონალური გადაცემები. ვეცდებით, ეს ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ.

— ისევე, როგორც ბრატისლავაში, ახლაც 4-3-3-ს აირჩევთ?

— ამას დღეს გადავწყვეტ.

— „არტმედიას“ რეიტერი და ჰარტიგი რომ არ ეყოლება, ეს რამდენად შელავათიანი ფაქტორია თქვენი გუნდისთვის?

— „არტმედიას“ დარი ძლიერი გუნდისთვის ეს დიდი დანაკლისი არ უნდა იყოს.

— „ვიტ ჯორჯია“ რაზე გააკეთებს აქცენტს?

— სწრაფი გოლი [illegible] ფრთხილი თამაში.

— როგორ ატყობ [illegible] თქვენს ფეხბურთელებს, სჯერათ, რომ შეძლებენ „არტმედიას“ დამარცხებას?

— ყველაფერს ვა[illegible]ებთ, რომ ბიჭებს კარგი განწყობა ჰქონდეთ. [illegible]ანარჩენი თამაშში გამოინდება. ყველაფერი ფეხბურთელების მონდომებაზე და ბრძოლისუნარიანობაზეა დამოკიდებული.

— ამ მატჩში გადამწყვეტი ფაქტორი რა იქნება?

— თუ სწრაფი გოლი გავიტანეთ, მერე შეგვძლებთ, რომ უფრო მეტი და მეტი მოვახერხოთ.

— გუნდიდან დავით იმედაშვილის წასვლის შემდეგ სტანდარტული სიტუაციების ახლებურად გამოყენებაზე განსაკუთრებულად მუშაობთ?

— რაღაც-რაღაცები მოვამზადეთ, სტანდარტული სიტუაციების გამოყენებას „ვიტ ჯორჯია“ კვლავაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

— სლოვაკები მაღლები, ათლეტურები არიან...

— ფიზიკურ მომზადებაში ჩვენს ფეხბურთელებს მათთვის არაფერი დაუთმიათ პირველ შეხვედრაში.

დავით თავართქილაძე

ბანანცი და ამერი: ახლა კარგია გავლა?

დღეს ერევნის „რესპუბლიკურზე“, ჩვენი დროით 18 საათზე „ბანანცი“ — „ამერის“ მატჩია. მატჩი, რომელმაც უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამსვლელი გუნდის ვინაობა უნდა გაარკვიოს.

შეგახსენებთ, ამ გუნდების თბილისური შეხვედრა სტუმრებმა 1:0 მოიგეს და საპასუხო თამაშის წინ კარგი განწყობაც შეიქმნეს. თუმცა უხალისოდ არც ამერელები არიან და თბილისში დაკარგულის ანაზღაურებას სწორედ ერევანში ფიქრობენ. „ყვითლებს“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად დღეს 2:1 მოგებაც ხელს აძლევთ.

„ამერმა“ გუშინ ექვს საათზე „რესპუბლიკურზე“ დაიწყო ვარჯიში და როცა დამთავრა, „ბანანცის“ ფეხბურთელებიც ნახა. მასპინძლები სტადიონს ჩვენების ვარჯიშის შემდეგ მიადგნენ და იქაურობა ხუთ წუთში დატოვეს. ბანანცელებმა „რესპუბლიკურის“ მოედანზე გაიარ-გამოიარეს და ისევ ავტობუსს მიაშურეს. არადა, როგორც წესი, მატჩის წინა დღეს სათამაშო მოედანზე ორივე გუნდი ვარჯიშობს ჩოლმე...

თბილისელთა თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ კი ერევანში წაყვანილი 19 შეგირდი გუშინაც დაახლოებით საათნახევარი დატვირთა, ვარჯიშზე რაიმე განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი არაფერი ყოფილა.

ერევანში ტემპერატურა დაახლოებით 35-37 გრადუსია, მაგრამ, როგორც ამბობენ, დღევანდელი მატჩის დაწყებისთვის აგრილდება და სიცხე ფეხბურთელებს ხელს არ შეუშლის.

მაშ, ასე: დღეს ერევნის „რესპუბლიკურზე“ მაგარი თამაში უნდა იყოს... წარმატება ვუსურვოთ თბილისელებს.

კოგა ინასარიძე

„ამერის“ გუშინდელი ვარჯიში ერევნის „რესპუბლიკურზე“

ბათუმს ერთის ნაცვლად ხუთი პატრონი გამოუჩნდა

ახალი სტადიონი ძველ უბანში



ბორის დულუბავას ფოტო

ყველაფერი თუ ისე იქნა, როგორც აჭარის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსანდრე ახვლედიანმა გვითხრა, ბათუმს ძველი საფეხბურთო ეშხი დაუბრუნდება და უნდა ვიფიქროთ, რომ უკეთესს თუ არა, 10-15 წლის წინანდელის მსგავს „ბათუმს" მაინც ვნახავთ — ხეირიან ფეხბურთელებს, ახალ და კოხტა სტადიონს და ევროპულ კლუბებთან ტოლ-სწორად მოთამაშე გუნდს.

ჯერჯერობით კი საამისოდ პირველი ნაბიჯები იდგმება და იმ ფონზე, როცა „კოლხეთი", „ცხინვალი" და „დილა" უმაღლეს ლიგას ემშვიდობებიან, ხოლო „ბათუმი" ორი თვის წინ ღონიერმა პატრონმა მიატოვა, მართლაც სასიამოვნოა, რომ ბათუმში...

— სადღეისოდ არც ერთი თეთრი დავალიანება არ არის. „ბათუმი" გუნდის ყველა წევრთან პირნათელია. უკვე გადახდილია მომავალ ჩემპიონატში სამონაწილეო თანხაც — გვითხრა გუშინ ალექსანდრე ახვლედიანმა — ახლა რომ მშვიდად ვართ, ასე არასდროს ვყოფილვართ. ერთხელაც გეტყვით, რომ კლუბს თეთრიც კი არავისი მართებს. ხოლო გუნდი ინტენსიურად ემზადება ახალი ჩემპიონატისთვის.

— არადა, წინა სეზონის შემდეგ „ბათუმი" რომ შეძლებულმა პატრონმა მიატოვა, ბევრმა იფიქრა, ეს კლუბიც „კოლხეთის", „ცხინვალისა" და „დილის" ბედს გაიზიარებსო...

— „ბათუმის" ძველი პატრონის მაშინდელი გადაწყვეტილება თავიდან ჩვენთვისაც ძალიან მოულოდნელი და უსიამოვნო ამბავი იყო, მაგრამ ნელ-ნელა გამოჩნდა ის ხალხი, ვინც „ბათუმს" გვერდით დაუდგა და ყველა პრობლემა მოუგვარა.

— ამჟამად „ბათუმს" ვინ აფინანსებს?

— ადგილობივი ბიზნესმენები, რომლებიც გუნდს კარგად მოსამზადებლად ყველანაირ პირობას უქმნიან.

— პატრონი ვინ არის?

— ხუთი ფიზიკური პირი, ახლა ყველა ოფიციალური საბუთის გადაფორმება და სანოტარო წესით დამოწმება მიმდინარეობს და სეზონის დაწყებამდე იურიდიული საკითხები მოგვარებული იქნება.

— ძველი პატრონი „ბათუმიდან" რატომ წავიდა?

— ეს ჩვეულებრივი ამბავია. ვინც გუნდის პატრონი იყო, მას ახლა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში აქვს თავისი ინტერესები და, ცხადია, ისურვა, რომ გუნდიც რუსთავში გაეკეთებინა. „ბათუმის" ყოფილი პატრონისთვის ბათუმელებს მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

— გასაგებია, რომ „ბათუმს" ვალი არ აქვს. ეს ნიშნავს, რომ „ბათუმს" არ უჭირს?

— წინა სეზონთან შედარებით „ბათუმში" ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. კლუბში სადღეისოდ ძალიან სტაბილური ვითარებაა და მომავალშიც ასე იქნება. ფულის უაზროდ ხარჯვის დრო წავიდა, „ბათუმში" მოწვეული ფეხბურთელი ერთი-ორი თუ იქნება. წინა სეზონის გუნდიდან ათი ფეხბურთელი წავიდა. მათ ნაცვლად კი ხელვაჩაურიდან, ქობულეთიდან და ბათუმის „დინამო 2"-დან მოსული ფეხბურთელები ითამაშებენ. გვსურს, თბილისის „დინამოდან" მეკარე ირაკლი თოთლაძე ისევ ოჯარით ავიყვანოთ და დავიბრუნოთ ბრაზილიელი შემტევი ტიაგო.

— ჩავთვალოთ, რომ მომავალ ჩემპიონატში „ბათუმს" მოკრძალებული მიზნები ექნება?

— ჩვენ უკვე შევიმუშავეთ განვითარების ორწლიანი პროგრამა და ამის შესაბამისად ვისაქმიანებთ. ორი წლის შემდეგ კი „ბათუმი" ევროსარბიელს უნდა დაუბრუნდეს და ჩემპიონატშიც ისეთი სიტყვა თქვას, როგორიც ეკადრება. წლეულს კი „ბათუმის" მიზანი დიდი მართლაც ვერ იქნება: ადგილი სატურნირო ცხრილის შუაში.

— ანუ, ამ სეზონში არ ინერვიულებთ...

— ნერვიულობა ყველა შემთხვევაში მოგვიწევს, თუმცა ბათუმში ბევრი გუნდი გამწარდება და ქულასაც კი იოლად ვერავინ წაიღებს.

— ბათუმში ახალი სტადიონის აშენებას აპირებენო... ესეც იმ ორწლიანი პროგრამის ნაწილია?

— დიახ, ორი წლის შემდეგ „ბათუმმა" ახალ, კოხტა სტადიონზე უნდა ითამაშოს და იმედია, გუნდიც ისეთი გაკეთდება, საერთაშორისო სარბიელზე თავისი შესაფერისი წარმატებები რომ ექნება. ამჟამად თითქმის დასრულებულია ახალი სტადიონის პროექტირება. წინასწარი გაანგარიშებით, მშენებლობა დაახლოებით 4 მილიონი ლარი დაჯდება. 10-ათასიანი ტრიბუნიდან 3 ათასი ადგილი გადახურული იქნება.

— ახალი სტადიონი ძველის ადგილზე აშენდება?

— არა, ქალაქის სხვა უბანში, სადაც მალე დიდი მშენებლობები დაიწყება.

— სტადიონს კლუბი ააშენებს?

— სტადიონს ის კომპანია ააშენებს, რომელიც კონკურსში გაიმარჯვებს და მშენებლობისთვის განკუთვნილ ტერიტორიას შეისყიდის. კონკურსის აუცილებელი პირობაა, რომ გამარჯვებულმა სამშენებლო კომპანიამ თავის ტერიტორიაზე სტადიონიც ააშენოს.

— რომ არ ააშენოს?

— სტადიონის მშენებლობა კონკურსის აუცილებელი პირობაა. თუ რომელიმე კომპანია უარს იტყვის, იგი კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

— როდის გაირკვევა, სტადიონს რომელი კომპანია ააშენებს?

— უახლოეს დღეებში. შესაძლოა, შედეგები ხვალ-ზეგაც გამოცხადდეს.

კობა ინასარიძე

მარცვალაძე მასაჭით გადარჩა

კიევის „დინამოს" ქართველი თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე, მუხლის ტრავმის შემდეგ მსუბუქად ვარჯიშს უკვე შეუდგა და ორსამ დღეში გუნდსაც შეუერთდება.

მარცვალაძე ორი კვირის წინ ავსტრიული შეკრებისას დაშავდა. ის ვარჯიშისას ერთ-ერთ თანაგუნდელს შეეჯახა და მუხლი დაიზიანა. თავიდან ექიმებსაც და ფეხბურთელსაც მენისკის ტრავმა ეგონათ და ფიქრობდნენ, ოპერაცია აუცილებელი იქნებოდა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ტრავმას ქირურგიული ჩარევის გარეშეც ეშველებოდა — ექიმებმა ოთარს რამდენიმე დღით დასვენება და მასაჟი ურჩიეს.

— მეორე დღეა, ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, მუხლის ტკივილებიც აღარ მაქვს და როცა „დინამო" ლატვიიდან დაბრუნდება, გუნდს შევუერთდები და ჩვეულებრივ დატვირთვებს მიეცემ. არა მგონია, სასურველი სათამაშო ფორმის აღდგენა გამიჭირდეს, არც ისე დიდი ხანი გამიცდა. კიევის „დინამოსთან" ერთად ახალი სეზონისთვის, ვფიქრობ, კარგად მოვემზადე და წლეულს, ალბათ, მარშანდელზე ხშირად ვითამაშებ — გვითხრა გუშინ ოთარ მარცვალაძემ. მისმა „დინამომ" კი გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ლიეპაიას „მეტალურგსი" 4:1 დაამარცხა. „დინამოს" ლატვიაში სამი ქართველიდან მხოლოდ დავით იმედაშვილი ახლდა, რომელიც სათადარიგო იყო. მარცვალაძე გასაგებია, ტრავმირებულია, ხოლო კახა ალადაშვილი დღედღეზე „დინამოდან" შესაძლოა „დნიპროში" გადაიდეს.

ლუკა თალაკვაძე

ფოფხაძე აგებს. მაგრამ აქებენ

ქართველების გერმანული ამბები

19 წლის გიორგი ფოფხაძე კვლავ მეორებუნდესლიგელ „ბურგჰაუზენშია" და, ალბათ, კონტრაქტსაც მალე გააფორმებს. გუშინ გიორგიმ 90 წუთი ითამაშა ნეთანიას „მაკაბისთან" და მისმა გუნდმა 0:3 წააგო, თუმცა „ბურგჰაუზენის" ვებგვერდში ქართველი ყველაზე აქტიურ ფეხბურთელადაა მოხსენიებული.

„ბურგჰაუზენის" თავკაცი მარკუს შუპი კი ფოფხაძეზე ამბობს: „ის და კიდევ ერთი ახალწვეული პენინკი მშვენიერ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ჩვენ სწორედ ახალგაზრდა ფეხბურთელები გვჭირდება. ბუნდესლიგაში გადასვლა გაგვიჭირდება, მაგრამ მომდევნო სეზონებიდან ამაზე უფრო თამამად ვიფიქრებთ".

რადგან გერმანულ თემას ვუტრიალებთ, იქ მთამაშე სხვა ქართველებზეც ვთქვათ: ლევან კობიაშვილის „შალკემ" ამხანაგურად მოუგო ფრანგულ „ბორდოს" — 3:1. კობიმ 70 წუთი ითამაშა, ამჯერად მარცხენა მცველად ვითარდა და განსაკუთრებით აქტიური იყო პირველ წუთებში.

ალექსანდრე იაშვილმა და ოთარ ხიზანეიშვილმა კი პირველი ტაიმი ითამაშეს შვეიცარიულ „შაუჰაუზენთან" 1:0 მოგებულ შეხვედრაში. ჩვენიანებს გოლში მონაწილეობა არ მიუღიათ. „ფრაიბურგის" თავკაცმა ფოლკერ ფინკემ კი თქვა, ახლა გაცილებით კარგად გამოიყურება ჩემი გუნდი, ვიდრე შარშან ამ დროს, ამიტომაც ბუნდესლიგაში დაბრუნების მჯერაო.

ილია ანანოგაშვილი

ხაპოვი ლოკომოტივში დაანინაურეს

მოსკოვის „ლოკომოტივის" სამწვრთნელო შტაბში მომუშავე თბილისის „დინამოს" ყოფილი მეკარე ზაურ ხაპოვი დაანინაურეს — ის გუნდის მთავარი მწვრთნელის სლავოლუბ მუსლინის თანაშემწე ფაქტობრივად, მისი მარჯვენა ხელი გახდა.

ხაპოვი თბილისის „დინამოში" 80-იანი წლების ბოლოს თამაშობდა, მოსკოვის „ლოკომოტივში" კი მეკარეების მწვრთნელი იყო და გუნდის თავკაცად სერბი მუსლინის დანიშვნის შემდეგ მისი მრჩეველი გახდა — რუსულ ფეხბურთთან ადაპტირებაში ეხმარებოდა.

„ახლა, როცა მხოლოდ მეკარეების მწვრთნელი აღარ ვარ, შემიძლია, მუსლინს ჩემი იდეებიც შევთავაზო. რა თქმა უნდა, გუნდის ტაქტიკას მუსლინი ირჩევს, მაგრამ ჩვენ ერთმანეთს აზრებს ვუზიარებთ" — განაცხადა ხაპოვმა.

დავით თავართქილაძე

კლაუდიო ლოტიტო და „ლაციოს“ ადვოკატი

ყურმოჭრილი ლოტიტო ცივ წყალში აბანავეს

იუვენტუსი ჩარჩოს გაამტვრევს

„იუვენტუსი“ ამას არ შეეგუება და ყველა შესაძლო ხერხს მიმართავს, რათა სამართლიანობა აღდგეს — ალბათ, ყველასთვის გასაგები ნათქვამია: საუბარია კალჩოპოლის სკანდალთან დაკავშირებული ვერდიქტის შემდგომი საapელაციო სასამართლოს საბოლოო დასკვნაზე.

დასკვნა ასეთია: მაქინაციებში მონაწილეობისთვის „მილანს“ სერია A-ში დარჩენა, ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან თამაში და მინუს რვა ქულა.

„ფიორენტინას“ და „ლაციოს“ სერია A-ში დარჩენა, პირველს მინუს 19, მეორეს კი მინუს 11 ქულა და ევროპული შეჯიბრებებიდან მოკვეთა, ხოლო „იუვენტუსს“ სერია B-ში დაქვეითება და მინუს 17 ქულა. გარდა ამისა, „იუვენტუსი“ სამ თამაშს ვერ გამართავს „დელე ალპიზე“ და დაჯარიმდება 120 ათასი ევროთი.

იგივე თანხა ექნებათ გადასახდელი ფლორენციულ და რომაულ კლუბებს, ოღონდ საკუთარ სტადიონზე „ფიორენტინა“ „იუვესავით“ სამ, ხოლო „ლაციო“ მხოლოდ ორ შეხვედრას ვერ გამართავს.

ახლა კი დავუბრუნდეთ წერილის პირველ წინადადებას, სადაც ნათქვამია, რომ „იუვენტუსი“ ასეთ ვერდიქტს ვერაფრით შეეგუება.

„ბებერი ქალბატონის“ ახალი პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი: „ჩვენ ამას უბრალოდ ვერ მივიღებთ. მომხდარი კარგად რომ გამოვამზეუროთ, ნათლად გამოჩნდება, რომ ვერდიქტი გაუწონასწორებელია. ის, რომ „იუვენტუსი“ სხვა კლუბებისგან ხაზგასმით განსხვავებულად დაისაჯა, აბსოლუტურად უსამართლოა, რის გამოც ყველა შესაძლო ინსტანციაში ვიჩივლებთ. მინდა ყველას განვუცხადო, რომ სანამ სამართალს არ მივაღწევთ, არ გავჩერდებით. „იუვენტუსს“ ბოლო ორი ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს და ეს მძიმე სასჯელია, თან, გაითვალისწინეთ, რომ ტიტულების ამბავი გამოძიების საქმე არ იყო. პლუს, ჩვენ ევროპული შეჯიბრებიდან მოგვხსნეს“.

როგორც ცნობილი გახდა, „ბებერი ქალბატონი“ საბოლოოდ არც სამოქალაქო სასამართლოში ჩივილს მოერიდება და საქმეს უკვე სპორტის ჩარჩოებს გარეთ გაიტანს.

საინტერესოა, რომ ვინ ითამაშებს სერია A-ში „იუვენტუსის“ მაგივრად უცნობია, რადგან იტალიური საფეხბურთო კანონები ცოტა არ იყოს, არეულ-დარეულია. თუ ჩვეულებრივად, ცხრილში დაკავებულ ადგილებს ჩამოჰყვებიან, მაშინ ტურინელების ადგილი სიცილიურმა „მესინამ“ უნდა მიიღოს. „მესინა“ გასულ სეზონში სერია A-ში ბოლოდან მესამე გახლდათ.

რაც შეეხება ევროთასებს, ახალი ვერსიით ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ გადიან „ინტერი“ და „რომა“, ხოლო შესარჩევ ეტაპზე ითამაშებენ „მილანი“ და „კიევი“. უეფას თასზე გამოვლენ „პალერმო“, „ლივორნო“ და „პარმა“.

და კიდევ, სად წავა „იუვენტუსისთვის“ ჩამორთმეული ბოლო ორი სკუდეტო, ვინმეს გადაეცემა თუ ისე მოიქცევიან, თითქოს იტალიაში 2004-05 და 2005-06 წლების ჩემპიონატები არც გამართულიყოს, ჯერ ასევე უცნობია.

მაგრამ, რაღაც „იუვენტუსზე“ გვიგრძელდა ძალიან სიტყვა. მოდი, სხვათა პოზიციებსაც გადავხედოთ.

„ფიორენტინას“ პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე: „ჩვენ საერთოდ არაფერი დაგვიშავებია და ამიტომ ლაფში ამოთხვრილი სახელის მოსაწმენდად ყველა ღონეს ვიხმართ. ჩვენც ყველა ინსტანციის კარს შევაღებთ, რათა ჩვენი პატიოსნება დავამტკიცოთ. ჩვენ ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლება მოედანზე მოვიპოვეთ და ეს უფლება უსამართლოდ წაგვართვეს“.

„ლაციოს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო: „იმედი მაქვს, რომ ყველაფერს სინათლე მოეფინება. უნდა დამტკიცდეს, ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. ის, რომ უეფას თასზე არ გვიშვებენ, არ ნიშნავს იმას, რომ სიმართლეს ფარდა არ უნდა აეხადოს. თავს იმ გატაცებულ ადამიანად ვგრძნობ, რომელსაც ყური და თითი მოაჭრეს, მაგრამ ის მაინც ბედნიერი უნდა იყოს, რადგან ცოცხალია“.

სხვათა შორის, თავად ლოტიტოს ორი წლითა და ექვსი თვით აუკრძალეს ფეხბურთში მოღვაწეობა, თუმცა აქ კიდევ ერთი რამ არის ფრიად საინტერესო — „ლაციოს“ ერთ-ერთმა ადვოკატმა ჯანმიკელე ჯენტილემ ისეთი რამ განაცხადა, რომ ლოტიტოს თავზე ცივი წყალი გადაავლო:

„ჩვენ ვალდებულნი ვართ საუკეთესო გამოსავალი მოვნახოთ. ახლა ისე ჩანს, რომ მიღებული გადაწყვეტილება ჩვენთვის ყველაზე მისაღებია, თუნდაც „ლაციოსთვის“ არანაირ მაქინაციებში მონაწილეობა არავის დაუმტკიცებია“.

პაპუნა კედია

დიეგო დელა ვალე



ჯოვანი კობოლი ჯილი

კალჩოპოლის საბოლოო განაჩენი

კლუბების ჩინოვნიკები

„იუვენტუსის“ ყოფილი დირექტორები — ლუჩანო მოჯი და ანტონიო ჯირაუდო ხუთი წლით მოკვეთეს საფეხბურთო საქმიანობას.

„მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ მიიღო ცხრათვიანი დისკვალიფიკაცია. „როსონერის“ ერთ-ერთი ჩინოვნიკი ლეანდრო მეანი კი 2 წელი და 6 თვე ველარ შეძლებს ფეხბურთში მოღვაწეობას.

„ფიორენტინას“ საპატიო პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე და პრეზიდენტი ანდრეა დელა ვალე სამი წლით ჩამოაშორეს ფეხბურთს, ხოლო ფლორენციელთა კიდევ ერთი ყოფილი მმართველი სანდრო მენკუჩი — 2 წლით და 6 თვით.

ანალოგიური დისკვალიფიკაცია მიიღო „ლაციოს“ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომაც.

ფეხბურთის ფედერაციის მოხელეები

ექსპრეზიდენტი ფრანკო კარარო დაჯარიმდა 80 ათასი ევროთი. ხოლო ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ინოჩენცო მაცინი 5 წლით მოკვეთეს ფეხბურთს.

სამსაჯო კომიტეტი და მსაჯები

კომიტეტის ყოფილმა თავმჯდომარე ტულიო ლანეზემ მიიღო ორწლიანი და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია. პიერლუიჯი პაირეტო 3 წელი ველარ იმუშავებს ფეხბურთში. ჯენარო მაცეი კი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. მსაჯები: მასიმო დე სანტისი და ჯანლუკა პაპარესტა, შესაბამისად, ოთხწლიანი და სამთვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ, ხოლო თანამსაჯები — ფაბრიციო ბაბინი და კლაუდიო პულიზი — ექვსთვიანით. პიეტრო ინგარჯოლამ უბრალო გაფრთხილება მიიღო, ხოლო პაოლო დონდარინი უდანაშაულოდ ცნეს.

მომავალ სეზონში სერია A-ში ითამაშებენ:

ასკოლი
ატალანტა
ემპოლი
ინტერი
კალიარი
კატანია
კიევო
ლაციო (-11 ქულა)
ლივორნო
მესინა
მილანი (-8 ქულა)
პალერმო
პარმა
რეჯინა
რომა
სამპდორია
სიენა
ტორინო
უდინეზე
ფიორენტინა (-19 ქულა)

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშებენ „ინტერი“ და „რომა“, ხოლო მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „მილანი“ და „კიევო“. უეფას თასის საგზურები კი „პალერმოს“, „ლივორნოსა“ და „პარმას“ შეხვდათ.

უკრაინის ნაკრებისა და დონეცკის „შახტარის“ ნახევარმცველმა ანატოლი ტიმოშჩუკმა როტერდამის „ფეიენოორდთან“ პირადი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. წესით, კლუბებმა ერთმანეთში რამდენიმე დღეში უნდა მოილაპარაკონ და ტრანსფერიც ოფიციალურად გაფორმდება. გავრცელებული ცნობით, ჰოლანდიელები 27 წლის ფეხბურთელში 3,5 მილიონ ევროს გადაიხდიან.

ინგლისური „არსენალი“ ისრაელის ნაკრებისა და „ვესტ ჰემის“ შემტევ ნახევარმცველ იოსი ბენაიუნითაა დაინტერესებული. ბრიტანული პრესა იუწყება, რომ „მეთოფეები“ ფეხბურთელში, თანაქალაქელს 10 მილიონ ევროს სთავაზობენ. ბენაიუნისთვის თვალი „ლივერპულსაც“ დაუდგამს.

ინგლისური „ტოტენჰემის“ ახალგაზრდა ვარსკვლავი მაიკლ კარიკი კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარს აცხადებს. ალბათ, იგი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავა. „მამლებს“ კი კარიკის შემცვლელად ტურინის „იუვენტუსიდან“ ვეტერანი პაველ ნედვედის ყიდვა სურთ.

რუსეთი

პრემიერლიგა. XIII ტური

ვოსკვა 1:1 დინამო

სპარტაკი ნ.	13	8	3	2	22:13	27
ცსკა	13	7	3	3	19:9	24
სპარტაკი მ.	13	5	7	1	25:16	22
ლოკომოტივი	13	6	4	3	25:17	22
რუბინ	12	6	4	2	18:12	22
კრილია	13	5	5	3	20:14	20
ტომი	13	5	4	4	13:13	19
ლუჩ-ენერგია	13	5	3	5	18:16	18
ზენიტი	13	4	6	3	16:16	18
მოსკვა	13	4	5	4	14:16	17
სატურნი	13	2	8	3	10:11	14
როსტოვი	13	3	4	6	16:20	13
ამკარი	13	2	5	6	8:20	11
დინამო	13	1	6	6	9:15	9
ტორპედო	13	1	6	6	9:18	9
შინიკი	12	1	3	8	6:22	6

შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

სენტ გალენი 0:0 გრასჰოპერი

ციურიხი	2	2	0	0	6:0	6
ბაზელი	2	1	1	0	4:1	4
სიონი	2	1	1	0	3:2	4
თუნი	2	0	2	0	1:1	2
იანგ ბოისი	2	0	2	0	1:1	2
სენტ გალენი	2	0	2	0	1:1	2
გრასჰოპერი	2	0	2	0	0:0	2
შაფჰაუზენი	2	0	1	1	1:4	1
აარაუ	2	0	1	1	1:4	1
ლუცერნი	2	0	0	2	2:6	0

შვედეთი

ალსვენსკა. XI ტური

ელფსბორგი 3:0 ჰამარბი

ჰამარბი	11	7	2	2	19:13	23
აიკ	11	6	3	2	21:12	21
ელფსბორგი	11	5	5	1	17:10	20
იურგორდენი	11	5	4	2	13:8	19
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
მალმიო	11	5	3	3	17:13	18
კალმარი	10	5	2	3	15:9	17
გეფლე	11	4	3	4	12:15	15
გაის	11	3	4	4	11:14	13
ჰელსინგბორგი	11	2	5	4	14:16	11
ჰეკენი	11	2	4	5	12:15	10
ჰალმსტადი	11	1	5	5	4:12	8
იოსტერსი	11	1	3	7	6:21	6
იორგრიტე	11	0	4	7	8:18	4

ღამურის გადაფრენა ვალენსიიდან მადრიდში

მიგელ ანხელ მისტა

მადრიდის „ატლეტიკოს“ მომავალ სეზონში ფანტასტიკური თავდასხმა ეყოლება — სერხიო აგეროს, ფერნანდო ტორესისა და მატეა კეჟმანის მოიერიშე სამეულს მიგელ ანხელ მისტაც შეემატა. სამშაბათს გვიან ღამით „ატლეტიკო“ — „ვალენსიას“ მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და „ღამურათა“ ყოფილი ფორვარდიც მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში „ვისენტე კალდერონზე“ ითამაშებს. „ატლეტიკომ“ „ვალენსიას“ მისტაში 4 მილიონი ევრო გადაუხადა. სავარაუდოდ, ახალ მოიერიშეს მადრიდში ოფიციალურად დღეს წარადგენენ, შაბათს კი მისტა გერმანიაში გაემგზავრება, რათა იქ სეზონთაშორისის მზადებაზე მყოფ დანარჩენ თანაგუნდელებს შეუერთდეს.

„ატლეტიკო“ მისტას შეძენით გასული სეზონის ბოლოს დაინტერესდა, თუმცა მაშინ „ვალენსიას“ სპორტული დირექტორი კარბონი ცივ უარზე დადგა, ამ ფეხბურთელს ვერ გავუშვებთო.

გასულ ორშაბათს, ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ, „ღამურების“ მწვრთნელმა, კიკე ფლორესმა, მისტა თავის კაბინეტში მიიხმო და დელიკატურად განუცხადა, ჩემს სამომავლო გეგმებში არ შედიხარო. კიკეს თქმით, „ვალენსიას“ თავდასხმაში ჰყავს ვილია, მორიენტესი, ანგულო, რეგეირო და დავიდ სილვა, ხოლო მისტასთვის „მეტალიაზე“ ადგილი აღარ რჩება.

დამრიგებელთან საუბრის შემდეგ ფორვარდი უმალ დაუკავშირდა თავის აგენტ მანუელ გარსია კილონს და „ატლეტიკოსთან“ მოლაპარაკების განახლება დავალა. და აი, მისტა უკვე მადრიდელ „ათლეტთა“ არმადაშია.

„ვისენტე კალდერონის“ ახალი მეომარი „ატლეტიკოს“ მოსისხლე მტრის გაზრდილია — მიგელ მისტამ ფეხი მადრიდის „რეალის“ „კანტერაში“, ახალგაზრდულ გუნდში აიდგა. სეგუნდადივიზიონში წარმატებული ბურთაობის შემდეგ ყმაწვილი მოიერიშე „ტენერიფეს“ წევრი გახდა, სადაც დიდი გამოცდილება მიიღო. კუნძულების გუნდის მწვრთნელი კი მაშინ რაფაელ ბენიტესი გახლდათ, რომელმაც მისტა თან წაიყვანა „ვალენსიაში“. დღეიდან მისტა ესპანეთში, თავის რიგით მეოთხე კლუბში ითამაშებს.

„ატლეტიკო“ სერიოზულადაა დაინტერესებული საჭირო ფეხბურთელების შეძენით. გუშინ მადრიდში მოსკოვის „დინამოდან“ პორტუგალიელი კოშტინია მივიდა, მალე კი „ვისენტე კალდერონს“ მეორე ლუზიტანი ნახევარმცველი, მანიშეც მიაკითხავს.

ლადო ხომერიკი

ომი და მეხი გალიანისგან

მაგიდასთან ვერ გვნახავთ

მადრიდის „რეალი“ რომ „მილანის“ ბრაზილიელ ვარსკვლავ კაკას თავისთან ეპატიჟება, ცნობილი ამბავია, მაგრამ ამის გამო შავწითელთა ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ასე თუ გაცეცხლდებოდა, არავის ეგონა. გალიანიმ „რეალის“ პრეზიდენტ რამონ კალდერონსა და დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს დაატეხა მეხი:

„50 წლის განმავლობაში „რეალი“ უდიადესი კლუბი იყო, მაგრამ ახლა ამ ორმა ადამიანმა ყველაფერი ფანჯრიდან მოისროლა. ამხელა კლუბი თავისი სახელის შესაფერის ღირსეულ ნაბიჯებს არ დგამს“ — უთხრა გალიანიმ ესპანურ გაზეთ „მარკას“.

შეგახსენებთ, რომ „რეალის“ ახალარჩეულმა პრეზიდენტმა თავისი კამპანიის დღეებში განაცხადა, რომ მას და კაკას პირადი მოლაპარაკება აქვთ, რომლის თანახმადაც მისი გამარჯვების შემთხვევაში ბრაზილიელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგდება. კალდერონმა 3 ივლისს გაიმარჯვა, ერთ-ორ კვირაში მას მერე, რაც კაკამ „მილანთან“ 2011 წლამდე გააფორმა განახლებული ხელშეკრულება.

გალიანიმ განაგრძო: „ჩვენ „რეალს“ ომს ვუცხადებთ და ყველა ღონეს ვიხმართ რათა მათ ცხოვრება უკიღურესად გაურთულდეთ. კაკა ახლა ჩვენგან წასვლას არ აპირებს, მაგრამ რომც წავიდეს, იმას ნამდვილად მოვახერხებთ, რომ მისი ახალი გუნდი „რეალი“ არ გახდეს. „მილანიდან“ „რეალს“ ერთი კაციც არ დაუჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან. ისე, როგორც „რეალი“ იქცევა დიდი კლუბები ერთმანეთს არ ექცევიან“.

შემდეგ კი გალიანიმ დააყოლა: „მინდა ყველამ კარგად გაიგოს, რომ ჩვენ ასეთ ტონში „რეალის“ ახალგაზრდა ხელმძღვანელებზე ვსაუბრობთ და არა მთლიანად კლუბზე, რომელსაც კარგად ვიცნობთ და გვიყვარს“.

ბაბუნა კედია

რეალმა უკან გადაასვია

ემერსონს ალონსო მოუსდგება

ხაბი ალონსო

„რეალმა“ „ლივერპულს“ ხაბი ალონსოს ნაცვლად 25 მილიონი ევრო შესთავაზა, მოლაპარაკება ორიოდ დღის წინ დაიწყო. ესპანელთა სპორტული დირექტორი მიატოვიჩი ინგლისელებს დაუკავშირდა და გაიგო, რომ ალონსოს ხსენებულ თანხაზე ნაკლებად არავინ გაუშვებს. „რეალის“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო ნახევარდაცვის ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას ითხოვს და პრეზიდენტ რამონ კალდერონსაც დიდი ჯაფა ადგება, რათა ევროპულ გრანდებს ვარსკვლავები დასტყუოს. ხაბი ალონსოს „ბერნაბეუზე“ შვიდწლიან კონტრაქტს სთავაზობენ (ისევე, როგორც მილანელ კაკას უთხრეს) და მადრიდული გაზეთების ცნობითაც, ბენიტესის კლუბმა პასუხი ხვალ-ზეგ უნდა შეუთვალოს.

თავად ალონსო „რეალში“ ითამაშის პერსპექტივით მოხიბლულია. ალბათ, მოლაპარაკებაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაიშლება, თუ დაინტერესებული მხარეები ფინანსებზე ვერ შეთანხმდნენ.

ბასკი ფეხბურთელი „რეალის“ სატრანსფერო სამიზნეზე ადრეც გახლდათ. 2004-ის ზაფხულში, სამეფო თეთრების მაშინდელმა მწვრთნელმა ხოსე ანტონიო კამაჩომ გუნდის ხელმძღვანელობას ემერსონისა და პატრიკ ვიეირას ტრანსფერები მოსთხოვა. ეს საქმე არ გამოვიდა და „რეალმაც“ გადაწყვიტა, „სოსიედადიდან“ 15 მილიონ ევროდ ხაბი ალონსო ეყიდა. შეთანხმება უკვე მიღწეული იყო, ოღონდ ბოლო მომენტში კამაჩო გაჯიუტდა, ალონსო არ მინდაო და ზღვისპირელი ბასკიც 17 მილიონი ევროს საფასურად „ლივერპულში“ გაუშვეს... ახლა ფაბიო კაპელო სთხოვს რამონ კალდერონს, ნახევარმცველი დაუყოვნებლივ ჩამოიყვანოს „ბერნაბეუზე“. იტალიელის აზრით, ალონსო-ემერსონი კასტილიური გრანდის ცენტრში იდეალური დუეტი იქნება.

რაფა ბენიტესი ადრე კი ამბობდა, ხაბი ტრანსფერგარეშე არისო, მაგრამ „ლივერპულს“ ამჟამად ახალი ფეხბურთელების ყიდვა სჭირდება, ფული კი არ ჰყოფნის. ამიტომაც, თუ 25 მილიონ ევროზე დათანხმდნენ, „რეალიც“ იხეირებს და „ლივერპულიც“.

ლადო ხომერიკი

ბედნიერი ჯან-ღონე

ცნობილი ფრანგი მცველი ლილიან ტურამი ამბობს, რომ „ბარსელონაში“ გადასვლით ბედნიერია.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი 34 წლისაა. ის და მისი იუვენტუსელი თანაგუნდელი ჯანლუკა ძამბროტა, თაღლითობაში მონაწილეობის გამო სერია B-ში გაგდებული კლუბიდან ერთად გადაბარგდნენ კატალონიაში.

„ბედნიერი ვარ აქ რომ ჩამოვედი. ბარსელონაში ყოფნა საუკეთესო რამაა, რაც ფეხბურთელს შეიძლება მოუვიდეს“ — ამბობს „მონაკოსა“ და „პარმას“ ოდინდელი ვარსკვლავი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ აფრიკაში ისვენებდა, შემდეგ კი კატალონიაში ჩავიდა და სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა.

„ტურამი იშვიათი ჯან-ღონის ადამიანია — თქვა შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა ბარსელონელმა ექიმმა — ის, რა საკვირველია, რა გინდა რა შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას“.

კასანო გაცოცხლდა
კაპელო ჭანგბადის ბალიშია

ანტონიო კასანოს იმედი აქვს, რომ მას მერე, რაც მადრიდის „რეალს“ სათავეში მისი თანამემამულე მწვრთნელი ფაბიო კაპელო ჩაუდგა, საქმეები კარგად წაუვა. გეხსომებათ, რომ კასანო და კაპელო ერთად „რომაში“ იყვნენ და სწორედ კაპელოს „იუვენტუსში“ გადაბარგების შემდეგ აერია ახალგაზრდა თავდამსხმელს თავ-გზა.

„ახლა მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ — განაცხადა კასანომ, რომელიც „რომამდე“ „ბარიში“ გამოდიოდა — ცხადია იმას არ ვამბობ, რომ კაპელო ყოველდღე ძირითადში მათამაშებს, მაგრამ იგი ის ადამიანია, რომელიც რწმენას მინერგავს. ბოლო ორი წლის განმავლობაში სწორედ კაპელო მაკლდა“.

აღსანიშნავია, რომ კასანოს გამოცოცხლებაში თავად მწვრთნელიც დარწმუნებულია. ის ამბობს: „კასანოს კვლავ დაუბრუნდება სპორტული სული და როგორც კი ეს მოხდება, ის კარგად ათამაშდება. ვარჯიშებზე ის ისევე, როგორც სხვა ფეხბურთელები, ჩინებულად ირჯება“.

მოგხსენებათ, „რეალში“ კასანოსთან ერთად ითამაშებს კიდევ ერთი ძველი რომაელი, ბრაზილიელი ემერსონი და მისი ნაცნობი იტალიის ნაკრებიდან, ფაბიო კანავარო.

„ჩვენ ორი დიდი ფეხბურთელი შევიმატეთ, — ამბობს თავდამსხმელი — ემერსონი ჩემი მეგობარი და ძალიან ძლიერი ნახევარმცველია. სწორედ მისნაირი ვინმე გვჭირდებოდა“.

ბუნებრივია, „რეალში“ ფორმის აღდგენა ანტონიო კასანოს ნაკრებში დასაბრუნებლადაც ფრიად წაადგება. მოგეხსენებათ, „რომას“ ყოფილ ფორვარდს „სკუადრა აძურას“ ტრიუმფატორი თავკაცი მარჩელო ლიპი მაინც და მაინც არ სწყალობდა.

პაპუნა კედია

ნუ ყვინთავ!
სავარცხლისთვის არ მცალია

დიდი დროგბამ მოულოდნელად გამოაცხადა, რომ „ჩელსიდან“ წასვლა უნდა.

ეს ამბავი ლამის ერთ საათში მოჰყვა ლონდონელთა მეორე მეგოლის, ერნან კრესპოს განცხადებას, იტალიაში დაბრუნება მინდაო.

„ახლა „ჩელსის“ ფეხბურთელი კი ვარ, მაგრამ იმწამს წავალ, როგორც კი ამის საშუალება მომეცემა“ — თქვა დროგბამ, რომელიც ეგრეც ვერ გამოვიდა იმ სტრესიდან, მინდორზე მის სიმულანტობას რომ მოჰყვა ინგლისში. „ადგილის გამოცვლა საჭირო, რათა შენი თამაში არ გაუფერულდეს.“

დროგბა ყველაზე სახელგატეხილი ფეხბურთელია ამჟამინდელ პრემიერლიგაში. ინგლისში მაისურებიც კი იყიდება მისი გამოსახულებით და წარწერით: „ნუ ყვინთავ!“

ეს განცხადება დიდად უსიამოვნოა ჟოზე მაურინიუსთვის, რომელმაც წლეულს უკვე ექვსი მოთამაშე დაკარგა.

თავად მაურინიუმ კი თმა დაბალზე დაიყენა, საბრძოლო იერი მიიღო და ამერიკაში შეკრებაზე გამგზავრების წინ ახალი ვარცხნილობის არსიც განმარტა: „რამდენიმე მიზეზი მქონდა, ერთი რომ ჩემმა შვილებმა გადაიპარსეს თავები, მეორე, რომ დღეში ორი ვარჯიში მაქვს და თმის ვარცხნისთვის ვერ ვიცლი. მესამე რომ, მინდა, „ჩელსის“ ქომაგთა ნორჩებმა მომბაძონ და კოხტაპრუწული ვარცხნილობა დაივიწყონ მეოთხე, ეს საბრძოლო იერს მატებს კაცს. „საფეხბურთო ომისთვის“ ვემზადებით.“

ირაკლი გამყრელიძე

წასული კაცის აზრები

დენის ბერხკამპს გამოსათხოვარ მატჩში ბურთი მამამ გაუგორა

დენის ბერხკამპი ინგლისში „ჩელსის“ ფავორიტობას ეჭვით უყურებს. 37 წლის ფორვარდი, რომელმაც ლონდონის „არსენალში“ ოერთმეტწლიანი ეპოპეა დაასრულა და ფეხბურთიდან წავიდა, ფიქრობს, რომ გაისად „ჩელსი“, ბალაკისა და შევჩენკოს ტრანსფერების მიუხედავად, პრემიერლიგას ზედიზედ მესამედ ვერ მოიგებს.

„გასულმა სეზონმა გვიჩვენა, რომ თითქოს, ერთი შეხედვით, დაუმარცხებელ „ჩელსისთან“ თანაბრად ომი რამდენიმე გუნდს შეუძლია. „ჩელსი“ ქულებს უწყინარ სიტუაციაში კარგავდა, სუსტ მეტოქეებთან. „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ლივერპული“ და „არსენალი“ კი უფრო ბრძოლისუნარიანები იყვნენ. დღეს მაურინიუს გუნდის მეტოქეებს გამარჯვების მეტი შანსი აქვთ, ვიდრე ორი წლის წინათ“ — აღნიშნა ვეტერანმა ჰოლანდიელმა მედიასთან საუბარში.

„აბრამოვიჩმა შევჩენკო იყიდა, მაგრამ უკრაინელი მოედანზე დიდი დროგბასთან ერთად ვერ ითამაშებს. თქვენ შეგიძლიათ, მსოფლიო კლასის ექვსი ფორვარდი შეიძინოთ, თუმცა მოედანზე სამი თუ იბურთავებს“ — ამტკიცებს ბერხკამპი.

„არსენალის“ ყველაზე სუსტი წერტილი არასტაბილურობაა. უკვე რამდენი წელია, ფავორიტებად ვითვლებით და რაღაც არაბუნებრივად წავიბორძიკებთ ხოლმე... თუმცა ჩვენი გუნდი სულ უფრო და უფრო ძლიერდება. შეიძლება, ეს შედეგში ვერ აისახოს, მაგრამ შედარებით მოგვიანებით „არსენალი“ თავის ძლიერებას დაამტკიცებს. გუნდის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა უკვე მიიღეს საჭირო გამოცდილება, ბევრი მათგანი გერმანულ მუნდიალზეც თამაშობდა. თუ ისინი თავიანთ საუკეთესო თვისებებს გამოავლენენ, „ძეოოფეებს“ შეუძლიათ, „ჩელსი“ დუელში გამოიწვიონ“ — განაცხადა „ჰაიბერის“ ძველმა ლეგენდამ.

ბერხკამპი ეშლი კოულის „ჩელსიში“ სავარაუდო გადაბარგების თემასაც შეეხო: „კლუბისთვის აუცილებელია, კოულისნაირი მცველი ჰყავდეს. მან დღევანდელი შემადგენლობის ჩამოყალიბების ყველა საფეხური გაიარა და თუ „არსენალში“ დარჩება, მომავალშიც ძალიან დაგვეხმარება. კოულმა თავისი ოსტატობა მსოფლიოს ჩემპიონატზეც დაამტკიცა“.

ლადო ხომერიკი

ფორჩუნის ახალი იღბალი



ისეთი პირი უჩანს, რომ ძველი მანჩესტერელი კვინტონ ფორჩუნი იქ მოხვდება, სადაც მაგარ-მაგარი მოხუცები იკრიბებიან ხოლმე: კერძოდ, „ბოლტონში“.

ფორჩუნმა უკვე მეორედ ითამაშა სავარჯიშო მატჩი ამ კლუბის შემადგენლობაში და მენეჯერმა სემ ალარდაისმა თქვა: „ძალიან საჭირო კაცია. კმაყოფილი ვარ, ვარჯიშში სანიმუშოა. თამაშში ოსტატური, ნახევარდაცვას გაგვიძლიერებს“.

ჯერ კონტრაქტი არ გაფორმებულა, მაგრამ ფორჩუნი იმედოვნებს, რომ ტრავმებით ტანჯულ კარიერას სწორედ „ბოლტონში“ გამოიფხიზლებს.

ირაკლი გამყრელიძე

პლასტიკური ბარათები
ინგლისურ ფეხბურთს ამერიკული ყიდულობს

რენდი ლერნერი

დუგ ელისი

ამერიკელი მილიარდერი რენდი ლერნერი და ინგლისელი ბიზნესმენი მაიკლ ნევილი „ასტონ ვილას“ შეძენას ცდილობენ.

ლერნერი უკვე ბირმინგემშია და კლუბის თავმჯდომარე დუგ ელისს ელაპარაკება, რათა 57 მილიონ გირვანქად მისი საკონტროლო პაკეტი, 39 პროცენტი, მოიგდოს ხელთ.

ორივე მყიდველს სურს, რომ ახალი „ვილას“ მენეჯერად მარტინ ონილი მიიწვიოს.

44 წლის ლერნერი პლასტიკური ბარათების კომპანიის პატრონია და ასევე ამერიკული ბურთაობის გუნდი „კლივლენდ ბრაუნი“ (იქაურ ლიგაში სიმდიდრით მეშვიდე) ჰყავს.

ელისი ახლახან დაბრუნდა ესპანური კურორტიდან და პირდაპირ საქმეში ჩაერია.

მეორე მსურველი, ნევილი, ბიჭობიდან „ვილას“ ფანია და იმის მიუხედავად, რომ ელისი უფრო ამერიკელებისკენ იხრება, უკან არ იხევს.

„მე ისეთი წინადადება მაქვს, რომ ყველას მოეწონება“, — ამბობს ნევილი. „ვილას“ გაყიდვა და ერთი კაცის ხელში მოქცევა არ ივარგებს, ყველაფერი რამდენიმე დღეში გაირკვევა. ნევილი შარშანაც ცდილობდა „ვილას“ ხელში აღებას ერთ კონსორციუმთან ერთად, მაგრამ მაშინ ელისს ვერ მოურიგდა.

ირაკლი გამყრელიძე

რაიკარდი: ეტოო ერთი კვირით დამეთხოვა

კატალონიური „ბარსელონა“ 2006-07-ის სეზონისთვის დანიაში, ორჰუსში ემზადება. პრიმერას გრანდში მალე, სექტემბერში, საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, ხოლო მარადიული მეტოქე „რეალი“ შემადგელობას ახალ-ახალი ვარსკვლავებით აძლიერებს. ჟურნალისტები ფრანკ რაიკარდს არჩევნებზე, „რეალსა“ და, რა თქმა უნდა, „ბარსას“ ფეხბურთელებზე გაესაუბრნენ

— საარჩევნო დაძაბულობა მოთამაშეებზეც იმოქმედებს?

— ეს რეალობაა და ჩვენ იგი, როგორც საჭიროა, ისე უნდა მივიღოთ. ყველამ იცის, რომ ეს კლუბი კარგად ფუნქციონირებს. ბიჭების ბრძოლისუნარიანობის დაკარგვისა არ მეშინია, ისე ვიმუშავებთ, როგორც ადრე ვმუშაობდით. ჩვენ საქმეს სწორად უნდა შევხედოთ და იმედი მაქვს, ყველაფერი მალე გაირკვევა. ისე უნდა ვიყოთ ერთად, როგორც არასდროს. დარწმუნებული ვარ, კლუბის ამომრჩეველი ხმას ყველაზე ღირსეულ კანდიდატს მისცემს.

— კლუბისთვის უკეთესი იქნება, ისევ ხუან ლაპორტა რომ დარჩეს პრეზიდენტად?

— მე ვამაყობ აქ მუშაობით და ვაფასებ იმას, რასაც დირექტორატი და ამომრჩეველი იტყვის. არ ვნერვიულობ და იმედი მაქვს, ეს ყველაფერი მალე დამთავრდება. რაც უნდა მოხდეს, „ბარსა“ მაინც მსოფლიოს გრანდად დარჩება.

— ძამბროტას და ტურამის გუნდში მოსვლის შემდეგ, შემადგენლობით კმაყოფილი ხართ?

— დიახ. ჩვენ ორი ძალიან კარგი ფეხბურთელი ვიყიდეთ, რომელთაც შეუძლიათ, გუნდს ბევრი წარმატება მოუტანონ. ადრე ვამბობდი, რომ ტრანსფერების გარეშეც კმაყოფილი ვიყავი და ეს სიმართლეა... ყველას შეუძლია, დაინახოს, რა შესანიშნავი შემადგენლობაც გვყავს.

— ტურამისა და ძამბროტას საუკეთესო თვისებებზე გვითხარით...

— ისინი მცველები არიან. ძამბროტა დაუღლელია და ნებისმიერ ადგილას შეუძლია თამაში. ტურამი გამოცდილი მობურთალია. იგი ახალგაზრდებს მაგალითს მისცემს, თუ როგორი უნდა იყოს, საერთოდ, ფეხბურთელი. ფრანგმა იმდენს მიაღწია, რომ დანაშაული იქნება, მისგან რამე არ ისწავლონ.

— როდრი და დამია ტურამზე გაცვალეთ. თქვენ დაცვაში გამოცდილ და ნაცად ოსტატებს ანიჭებთ უპირატესობას?

— ჩვენ ახალგაზრდებზე უარს არ ვამბობთ. შეგიძლიათ, მესის, ოლეგერისა და სხვათა მაგალითები გაიხსენოთ, მაგრამ უნდა დავაკვირდეთ, ფეხბურთელები რანაირად განვითარდებიან — თუ როდრი და დამია უფრო დიდ გამოცდილებას მიიღებენ, „ბარსას“ ყოველთვის იქნება მათი უკან დაბრუნების შესაძლებლობა. გუნდს მუდამ ისეთი მოთამაშეები სჭირდება, რომლებიც ყველანაირი დაბრკოლების დასაძლევად მზად არიან. კიდევ ვიმეორებ, ახალგაზრდების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ზოგიერთისთვის ცუდი არ იქნება, დროებით გამოცდილება სხვა კლუბებში მიიღოს.

— სამუელ ეტოო „ბარსელონას“ მწვრთნელის ფავორიტია?

— მე ასე არ ვიტყოდი. ფეხბურთელებს ჩემთან დალაპარაკების უფლება აქვთ, მე კი გადაწყვეტილებას სიტუაციის მიხედვით ვიღებ. განსაკუთრებული ურთიერთობა კი არც ეტოოსთან მაქვს და არც სხვა რომელიმე მობურთალთან.

— მაშინ, თუ ფავორიტი არ არის, ეტოო დასვენებიდან სხვებზე ერთი კვირით გვიან რატომ დაბრუნდა?

— მე ეტოოს არდადეგებამდე ველაპარაკე. მან მკითხა, შეიძლება თუ არა, დასვენება გაეგრძელებინა და მეც დავთანხმდი. რადგანაც ეტოოს ამისთვის მიზეზი არსებობდა, ეტოოს შესანიშნავი ფიზიკური მონაცემები აქვს და გუნდთან შეერთებისთვის დიდი ხანი არ დასჭირდება.

— თქვენი ახალი თანაშემწე იოჰან ნეესკენსი გუშინ პირველად გაესაუბრა „ბარსას“ ფეხბურთელებს...

— ნეესკენსს ფეხბურთელებთან არანაირი პრობლემა არ ექნება. ის შესანიშნავი სპეციალისტია, ფეხბურთიც დიდებულად ემის და ესპანური ენაც. იგი ბრწყინვალე პიროვნებაა და მოხარული ვარ მასთან მუშაობა რომ მიწევს.

— სავიოლისთან დაკავშირებით რა ხდება?

— სანამ ახალ გუნდს გამონახავს, ჩვენთან ერთად ივარჯიშებს. სხვას ვერაფერს ვიტყვი.

— მადრიდის „რეალის“ ახალ მწვრთნელ, კაპელოზე და კანავაროზე რას გვეტყვით?

— კაპელოს პირადად ვიცნობ და იგი ყოველთვის იღბლიანი მწვრთნელი იყო. იტალიელს თავისი ფილოსოფია აქვს და ორგორც მოწინააღმდეგე, პატივისცემას იმსახურებს. მაგრამ მე ახლა „რეალზე“ კი არა, „ბარსელონაზე“ და მის გამარჯვებაზე ვფიქრობ.

— ამერიკულ ტურნეში „ტიგრეს დე მოტერეის“ უნდა შეხვდეთ. რა იცით ამ კლუბის შესახებ?

— „ვეფხვები“? ისინი ყოველთვის სახიფათონი არიან!

გუს ჰიდინკი

რუსების გუსი პროკურატურაში

გადასახადების დამალვისთვის იცით, ვის მიადგნენ? არც მეტი, არც ნაკლები, გუს ჰიდინკს, ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ჰოლანდიელ მწვრთნელს, რომელიც ამჟამად რუსეთის ნაკრებს უდგას სათავეში. ჰოლანდიურ ქალაქ დენ ბოსხში მდებარე სახალხო ბრალმდებლის ოფისში დაადასტურეს, რომ პირველი მოსმენა ამ საქმესთან დაკავშირებით 15 სექტემბერს გაიმართება.

რაში სდებენ ბრალს ჰიდინკს? იმაში, რომ 2002 და 2003 წლების დეკლარაციებში თავისი მოქალაქეობა არასწორად მიუთითა. ეს ის პერიოდია, როდესაც მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის შემდეგ იგი კორეის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგა და ევროპაში დაბრუნდა. მაშინ მწვრთნელი ამტკიცებდა, რომ ის ბელგიის მოქალაქეა და გადასახადს იქ იხდიდა.

ცნობისათვის: ბევრი ჰოლანდიელი ცნობილი ადამიანი ბელგიაში ცხოვრებასა და იქაურ დაბეგვრას ამჯობინებს.

როგორც ირკვევა, ჰოლანდიელმა სამართალდამცველებმა აღმოაჩინეს, რომ ბელგია სულაც არ გახლდათ ჰიდინკის საცხოვრებელი ადგილი და ამიტომ, მასთან ერთად მისი საგადასახადო მრჩეველი სიმონ ვან დენ ბოომენიც წარუდგება მართლმსაჯულებას. მეტიც, ის უკვე დააპატიმრეს. ეჭვი მიადგა „პსვ ეინდჰოვენის“ ყოფილ დირექტორ ფონს სპოორენს.

„მე სუფთა სინდისი მაქვს“ — თქვა აღელვებულმა ჰიდინკმა, მისმა ადვოკატმა იან ლელიველდმა კი დასძინა, რომ პროკურატურა მწვრთნელს დაფიქრების საშუალებას არ მისცემს და პირდაპირ სასამართლოში მიაქანებს.

1946 წელს დაბადებული გუს ჰიდინკი „პსვ ეინდჰოვენს“ 2002 და 2006 წლებში წვრთნიდა. მუშაობდა კორეისა და ავსტრალიის ნაკრები გუნდების მწვრთნელად ახლა კი რუსების დამრიგებელია. მისი ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრებმა 1998 წელს, ხოლო კორეამ 2002-ში მოიპოვა მეოთხე ადგილი.

პაპუნა კედია

სოლი მარსელში

ბრიტანული და ფრანგული პრესის ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვეტერანი მცველი სოლ კემპბელი „მარსელში“ გადავა. მოგეხსენებათ, 31 წლის ფეხბურთელმა რამდენიმე კვირის წინ განაცხადა, რომ „არსენალში“ აღარ დარჩებოდა და მსოფლიოს ჩემპიონატის მერე ახალი კლუბის ძიებას დაიწყებდა.

ინგლისის ნაკრების გამოცდილი მცველით, რომელიც გასულ სეზონში ტრავმებმა გააწამეს, „პორტსმუთი“ და პრემიერლიგის კიდევ არაერთი კლუბი იყო დაინტერესებული, თუმცა კემპბელმა განაცხადა, რომ სხვა ქვეყანაში სურს კარიერის გაგრძელება.

„მარსელის“ წარმომადგენლები უკვე დაკავშირებიან კემპბელის აგენტს და, როგორც ამბობენ, შეთანხმებას ბევრი აღარაფერი უკლია. თუ შავკანიანი მცველი „ველოდრომზე“ გადავა, მას, ალბათ, ბევრად უფრო ნაკლებ ხელფასზე მოუწევს დაყაბულება, ვიდრე „მეოფფეებში“ ჰქონდა.

ძოკი ძანდელაძი

კარბონი სასტუმროდან გაისტუმრეს

სიმაო საბროსა

„ვალენსიას“ სპორტული დირექტორი ამაღეო კარბონი გუშინ მთელი დღის განმავლობაში პორტუგალიაში, ლისაბონში გახლდათ, რათა „ღამურებისთვის“ რიგით მესამე ტრანსფერი გაეხერხებინა ფერნანდო მორიენტესისა და ასიერ დელ ორნოს შემდეგ. საუბარია „ბენფიკას“ სიმაო საბროსაზე, რომლის შეძენასაც ითხოვს „მესტალიას“ გუნდის მთავარი მწვრთნელი კიკე სანჩეს ფლორესი.

კარბონი ლისაბონის ერთ-ერთ სასტუმროში „ბენფიკას“ პრეზიდენტ ლუიშ ფელიპე ვიერას და სიმაოს აგენტ ჟორჟე მენდესს შეხვდა და ტრანსფერზე ელაპარაკა. თუმცა ესპანელები და პორტუგალიელები ფასზე ვერ შეთანხმდნენ — „ბენფიკამ“ 20 მილიონი მოითხოვა, „ვალენსია“ კი მხოლოდ 15 მილიონ ევროს იმეტებს. „ღამურათა“ თავკაცობა მზადაა, სატრანსფერო ოპერაციაში მარკო დი ვაიო და მარკო კანეირაც ჩართოს.

ლადო ხომერიკი

ზახაროვს დაარტყეს, ბრანკოს ჩაარტყეს

კამერუნელს ბურთი საჭარძელი ეგონა

სერჟ ბრანკო

ოვჩინიკოვს მძიმე სასჯელი ელის

რუსული პრემიერლიგის მე-12 ტურის ბოლოსწინა მატჩში „მოსკვასა“ და „დინამოს“ შორის, გვარიანი სკანდალი მოხდა. მთავარი მოქმედი პირი დინამოელთა და ეროვნული ნაკრების 35 წლის გამოცდილი მეკარე სერგეი ოვჩინიკოვი გახლდათ, რომელიც ფეთქებადი ხასიათითაა ცნობილი, ხოლო ამ ინციდენტის მერე შეიძლება, საერთოდ, მოკვეთონ ფეხბურთიდან. ყოველ შემთხვევაში, წესით, მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია არ უნდა ასცდეს.

აურზაური 77-ე წუთზე, „დინამოს“ კართან დანიშნულ კუთხურს მოჰყვა. იმ დროს დინამოელები „მოსკვასთან“ 0:1-ს აგებდნენ. ოვჩინიკოვის აზრით, თანამსაჯი შეცდა და მან გვერდით არბიტრთან მიირბინა, რასაც ხმამაღლა უხამსი სიტყვების კორიანტელი მოაყოლა. ამის გამო, თამაშის მთავარმა მსაჯმა იგორ ზახაროვმა მას წითელი ბარათი უჩვენა. განრისხებული მეკარე ზახაროვს მაისურაში სწვდა და ხელი რამდენჯერმე მოუქნია, მაგრამ არ დაარტყმევინეს. შემდეგ იგი გასახდელისკენ გაემართა, თან კაპიტნის სამკლავური მოიძრო და ძირს მოისროლა. იგი მობრუნდა, ზახაროვს მივარდა და რამდენჯერმე მაინც დაარტყა. ბოლოს კი წიხლები დაუშინა იმ გვირაბის შესასვლელს, რომლიდანაც ფეხბურთელები მინდორზე გამოდიან... მისმა „დინამომ“ კი შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე ბულკინის თავურით ქულა გადაარჩინა.

ოვჩინიკოვმა დაახლოებით ამგვარი რამ შარშანწინაც გააკეთა. მაშინ იგი „ლოკომოტივის“ კარს იცავდა და „ზენიტთან“ შეხვედრაში წითელი ბარათი რომ აუფრიალეს, მინდვრიდან ძლივს გაიყვანეს. ჯერ სანკტ-პეტერბურგელთა მეორე მწვრთნელს ეძგერა და ჩხუბი წამოიწყო, მერე კი გასახდელში ისეთი აურზაური ატეხა, ომონის გამოძახება დასჭირდათ.

„დინამოს“ მთავარი მწვრთნელი იური სიომინი: „ოვჩინიკოვს ფულადი ჯრიმით დავსჯით. მსაჯები, შეიძლება ცდებიან, მაგრამ ამან ფეხბურთელი წყობიდან არ უნდა გამოიყვანოს.“

გასულ უქმეებზე რუსეთის ჩემპიონატში კიდევ ერთი მცირე სკანდალი მოხდა. „კრილია“ ბოლო წუთამდე უგებდა ცსკა-ს, მაგრამ საბოლოოდ მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. 86-ე წუთზე კი სამარელთა კამერუნელი ფეხბურთელი სერჟ ბრანკო ბურთზე დაჯდა. ამან არმიელთა ბრაზილიელი ლეგიონერი კარვალიო განარისხა. იგი ბრანკოსთან მივარდა და წიხლი მოუქნია. შედეგად, მსაჯმა ორივე მოთამაშე გააძევა.

„ბურთი მე მქონდა, მატჩის ბოლომდე რამდენიმე წუთი რჩებოდა და მეტოქეებიდან მოსვლას არავინ პირებდა. ავდექი და ბურთზე დავჯექი, არსად არ წერია, რომ ეს არ შეიძლება. კარვალიომ კი ასი მეტრი ირბინა, მკერდში ჩამარტყა და გამომლანძღა. მსაჯმა კი მეც მომცა წითელი ბარათი, რაც გაუგებარია. კარვალიოს კარგად ვიცნობ, იგი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეა და პატივს ვცემ, თუმცა, არ მესმის, ასეთი პროფესიონალი ასე როგორ მოიქცა. ეს ხომ ფეხბურთია და არა ომი ან კრივი. ფეხბურთელებს შორის მეგობრული დამოკიდებულება უნდა იყოს“ — თქვა ბრანკომ.

გიორგი კაკაბაძე

პოლ ლე გუენის დებიუტი „მოზერველთან“ შედგება

სქოთები მოდიან

სტრაჩანი, ლე გუენი და იანკაუსკასი შოტლანდიისთვის იბძოლებენ

შოტლანდიის პრემიერლიგა ზეგ იწყება და, წესით, გასულ სეზონზე უფრო საინტერესო და დაძაბული უნდა გამოვიდეს. ალბათ, ჩემპიონობისთვის ისევ სამი კლუბი იბრძოლებს: „სელტიკი“, „ჰართსი“ და „რეინჯერსი“.

მოქმედი ჩემპიონი გლაზგოს „სელტიკი“, რომელმაც გასულ სეზონში ეროვნული ჩემპიონატი მეორმოცედ მოიგო, ახლაც ფავორიტად ითვლება. შეგახსენებთ, რომ „სელტიკი“ შარშან გორდონ სტრაჩანმა ჩაიბარა და თავის პირველსავე სეზონში წარმატებას მიაღწია, თანაც გუნდი სარეკორდოდ ადრე გახადა ტრიუმფატორი. „სელტიკმა“ უახლოეს მდევარ „ჰართსს“ საბოლოოდ 17 ქულით გაასწრო.

„ახალგაზრდა ფეხბურთელები, შემართება და ენთუზიაზმი არ გვაკლია, მაგრამ ერთი კარგი ფორვარდი და რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე გვჭირდება. სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დრო ჯერ არის და ძებნას ვაგრძელებთ. გასული სეზონის მერე სამი ძლიერი ფეხბურთელი დავკარგეთ: როი კინი, ჯონ ჰართსონი და დიონ დაბლინი. დაშავდა კრის სატონიც. მათი შეცვლა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი“ — თქვა სტრაჩანმა, რომლის „სელტიკიც“ სეზონს „კილმარნოკთან“ გასვლითი მატჩით იწყებს.

„ჰართსმა“ გასული სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო და საკმაო ხანი ცხრილის სათავეშიც იყო, თუმცა ედინბურგელთა რიგებში ნელ-ნელა ვითარება აირია. კლუბის ექსცენტრულმა მმართველმა ვლადიმირ რომანოვმა მწვრთნელები გამოცვალა და საბოლოოდ ეს საქმე ვალდას იანკაუსკასს ანდო, რომელმაც გუნდს მეორე ადგილი შეუნარჩუნა და ახლა მისგან ჩემპიონობას ელიან.

„ჩემპიონთა ლიგისთვის და მომავალი სეზონისთვის ჩვენი მოსამზადებელი პერიოდით ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ბიჭები კარგ ფორმაში არიან და, რაც მთავარია, არავინ დაშავებულა. ასე რომ, ყველაფერი მშვენივრად მიდის“ — განაცხადა იანკაუსკასმა.

„რეინჯერსისთვის“ კი გასული სეზონი ძალიან წარუმატებელი გამოდგა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ „ჩაფრები“ იქცნენ პირველ შოტლანდიურ კლუბად, რომელმაც უშუალოდ ჩემპიონთა ლიგის (და არა თასის) მერვედფინალს უწიეს ანუ ჯგუფური ეტაპი გადალახეს. სხვა მხრივ, საამაყო არაფერი იყო. კლუბის 133-წლიან ისტორიაში პირველად მოხდა, რომ „რეინჯერსმა“ ყველა ტურნირის ჩათვლით მიჯრით ათმატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო. ეროვნულ ჩემპიონატში გუნდი ორეულში ვერ მოხვდა, რაც ბოლო 18 წლის მანძილზე პირველი შემთხვევაა. ამ ზაფხულს კი „აიბროქსის“ ბინადრებს, ალექს მაკლიშის ნაცვლად, ახალი თავკაცი დაუნიშნეს — ფრანგი პოლ ლე გუენი.

„ჩაფრები“ სეზონს „მოზერველთან“ მატჩით იწყებენ, რომელშიც სამი წამყვანი მოთამაშე არ ეყოლებათ — ბარი ფერგიუსონი, კრის ბურკე და კრის ბოიდი. პირველ ორს ტრავმები აწუხებთ, ხოლო ბოიდს გასული სეზონიდან დისკვალიფიკაცია გადმოყვა.

„ზუსტად ვერ გეტყვით, როდის დაუბრუნდებიან მინდორს ფერგიუსონი და ბურკე. სამწუხაროდ, ბარის იმედი ჯერ, ალბათ, არ უნდა გვქონდეს, რადგან მან ბევრი უნდა ივარჯიშოს, რომ სათანადოდ თამაში შეძლოს. ბურკე კი, წესით, უფრო მალე მომჯობინდება. მომავალ სეზონში კი ჩვენი მთავარი ამოცანა შოტლანდიის ჩემპიონატის მოგებაა, რაც ძნელი იქნება, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია“ — აღნიშნა ლე გუენმა.

„რეინჯერსის“ თავმჯდომარე დეივიდ მიურეი: „გასული სეზონი მხოლოდ მეორე შემთხვევა იყო ჩემი ოცწლიანი მუშაობის პერიოდში, როდესაც უტიტულოდ დავრჩით. იმედია, ეს არ განმეორდება“.

კოკი კანდელაკი

ქუინის ყველაფერი

ირლანდიელი ნეილ ქუინი, ვინც თავურებით გვახსოვს, ახლა „სანდერლენდის“ არა მხოლოდ თავმჯდომარე, არამედ მენეჯერიცაა.

ის უკვე კლუბის მთავარი მეწილეა და მენეჯერობაც გადაწყვიტა.

„სამი თვის წინ, როცა აქციების ყიდვა გადავწვიტე, მენეჯერობა არც მიფიქრია“, უთხრა ქუინმა მედიას. „მაგრამ ფინანსურმა ჯგუფმა, რომელიც მე მიჭერს მხარს, მსოფლიო კლასის მენეჯერის მოწვევა ვეღარ შეძლო. ვიფიქრეთ და ჩემამდე მივედით. გარდამტეხი მომენტია. ერთი დღეც დადგება და სანდერლენდში მსოფლიო კლასის მწვრთნელს მოვიწვევ. უბრალოდ ახლა არ გამოდის“.

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		29 ივლისი						
15:30	1	სელტიკი-კილმარნოკი	1.20	5.20	10.00	1.00	1.07	3.42
18:00	2	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	2.00	3.10	3.45	1.21	1.26	1.63
18:00	3	დანფერმლაინი-ჰარტსი	4.50	3.80	1.55	2.06	1.15	1.10
18:00	4	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.05	3.20	3.10	1.24	1.23	1.57
18:00	5	ინვერნესი-სტ.მირენი	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
		30 ივლისი						
17:00	6	მოზერუელი-რეინჯერსი	6.50	3.60	1.42	2.31	1.16	1.01
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		29 ივლისი						
21:30	8	აუსტრია-ზალცბურგი	2.40	3.00	2.65	1.33	1.25	1.40
21:30	9	გრაცერი-პამინგი	2.40	3.10	2.60	1.35	1.24	1.41
21:30	10	მატერსბურგი-შტურმი	1.85	3.20	3.65	1.17	1.22	1.70
21:30	11	რიდი-რაპიდი	2.50	3.00	2.55	1.36	1.26	1.37
		30 ივლისი						
21:30	12	ალტახი-ტიროლი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		29 ივლისი						
19:45	13	აარაუ-სიონი	2.20	3.20	2.85	1.30	1.24	1.50
19:45	14	გრასჰოპერი-თუნი	1.80	3.20	4.00	1.15	1.24	1.77
19:45	15	შაფჰაუსენი-ციურიხი	4.50	3.50	1.65	1.96	1.20	1.12
		30 ივლისი						
18:00	16	სტ.გალენი-ბასელი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
18:00	17	იანგ ბოისი-ლუცერნი	1.50	3.70	5.30	1.06	1.16	2.17
		საფრანგეთი. II დივიზიონი						
		28 ივლისი						
22:00	27	ისტრი-ბასტია	2.50	2.70	2.35	1.29	1.33	1.38
22:00	28	ლე ავრი-ამიენი	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
22:00	29	რეიმსი-ბრესტი	2.20	2.80	3.20	1.23	1.30	1.49
22:00	30	სტრასბური-დიუნი	1.75	3.00	4.50	1.10	1.25	1.79
22:00	31	აიაჩიო-ნიორი	1.45	3.50	6.00	1.02	1.16	2.21
22:00	32	კაენი-ლიბოურნე	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
22:00	33	შატორუ-ტოურსი	1.80	3.00	4.10	1.12	1.25	1.73
22:00	34	კრეტეი-გენსგამი	2.20	2.90	3.20	1.25	1.30	1.52
22:00	35	გრენობლი-მონპელიე	2.30	2.90	3.00	1.28	1.30	1.47
		29 ივლისი						
19:30	36	გენიონი-მეცი	2.85	2.70	2.45	1.38	1.31	1.28
		ბელგია. I დივიზიონი						
		28 ივლისი						
22:30	37	ბრიუჟე-ვესტი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
		29 ივლისი						
22:00	38	შარლეროა-ლიერსი	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
22:00	39	ბრიუსელი-მონსი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
22:00	40	ვენჯი-ვარეგემი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:00	41	ბეერსხოტი-ბეგერენი	1.65	3.40	4.50	1.11	1.20	1.93
22:00	43	მუსკრონი-სერკლი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
		30 ივლისი						
20:00	42	ლოკერენი-სტანდარდი	2.85	3.10	2.25	1.48	1.25	1.30
22:30	44	სტ-ტრუიდენი-ანდერლეხტი	3.75	3.40	1.75	1.78	1.19	1.15
22:30	45	ვესტერლო-რუნელარე	1.85	3.30	3.65	1.18	1.22	1.73
		პოლონეთი						
		28 ივლისი						
22:00	55	ვიძევი-გროცლინი	2.25	2.90	2.90	1.26	1.26	1.45
		29 ივლისი						
21:00	56	ვისლა-ეურნიკი	1.30	4.30	8.00	1.00	1.11	2.79
21:00	57	ლოძი-პოგონი	2.20	2.90	3.00	1.25	1.26	1.47
21:00	58	ლუბნა-ბელჩატოვი	2.25	2.90	3.00	1.26	1.28	1.47
21:00	59	არკა-კორონა	2.50	3.00	2.60	1.36	1.27	1.39
22:00	60	ლეგია-კრაკოვია	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 ივლისი						
20:00	61	ოდრა-ზაგლებე	2.55	3.00	2.55	1.37	1.27	1.37
20:00	62	ლეხი-პლოცკი	1.90	3.10	3.60	1.17	1.24	1.66
		ჩეხეთი						
		29 ივლისი						
19:00	63	სპარტა-კლადნო	1.25	5.10	8.00	1.00	1.08	3.11
21:00	64	ბოლესლავი-სიგმა	1.80	3.20	3.90	1.15	1.23	1.75
21:00	65	ზლინი-სლოვაცკო	2.10	3.00	3.30	1.23	1.28	1.57
		30 ივლისი						
19:00	66	პრეიბრამი-პლზენი	1.95	3.10	3.50	1.19	1.25	1.64
19:00	67	იაბლონეეი-მოსტი	1.75	3.30	4.20	1.14	1.23	1.84
19:00	68	ტეპლიცე-ბრნო	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
22:15	69	ბუდეიოვიცე-ლიბერეცი	3.00	3.00	2.20	1.50	1.26	1.26
		31 ივლისი						
19:15	70	ბანიკი-სლავია	2.50	2.70	2.75	1.29	1.30	1.36
		დანია. სუპერლიგა						
		29 ივლისი						
19:00	88	ოდენსე-ესბიერგი	1.85	3.30	3.60	1.18	1.22	1.72
		30 ივლისი						
17:00	89	ოლბორგი-ვეინლე	1.35	4.00	7.00	1.00	1.13	2.54
17:00	90	ჰორსენსი-ვიბორგი	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
17:00	91	ნორდსიელანდი-სილკბორგი	1.80	3.30	3.90	1.16	1.23	1.78
20:00	92	მიდტიულანდი-ბრიონდბიუ	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		29 ივლისი						
21:00	101	ოდ გრენლანდი-ვოლერენგა	2.60	3.30	2.45	1.45	1.26	1.40
		30 ივლისი						
20:00	102	სანდეფიორდი-სტაბეკი	2.45	3.20	2.60	1.38	1.26	1.43
20:00	103	ტრომსიო-მოლდე	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
20:00	104	ვიკინგი-ჰაჩარი	2.00	3.20	3.40	1.23	1.25	1.64
20:00	105	ბრანი-ფრედრიქსტადი	1.50	3.80	5.80	1.07	1.19	2.29
22:00	106	რუსენბორგი-ლილესტრომი	2.15	3.20	2.80	1.28	1.21	1.49
		31 ივლისი						
21:00	107	ლინი-სტაბეკი	2.10	3.20	3.10	1.26	1.25	1.57
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		30 ივლისი						
20:00	108	ალესუნდი-ტრომსდალენი	1.20	5.80	12.00	1.00	1.09	3.91
20:00	109	ჰიოდი-სტრომსგოდსეტი	4.90	3.80	1.55	2.14	1.17	1.10
20:00	110	ჰაუგესუნი-ფანდალერუდი	1.40	4.20	6.50	1.04	1.15	2.55
20:00	111	ლილ ჰამ.-ბრინა	2.80	3.40	2.20	1.53	1.23	1.33
20:00	112	მოსი-კონგსვინგერი	1.60	3.60	5.20	1.10	1.22	2.12
20:00	113	სოგნდალი-ბარს გრენლანდი	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
20:00	114	სპარტა-ბოდიო გლიმტი	2.80	3.50	2.15	1.55	1.21	1.33
20:00	115	ფოლო-ჰაუგესუნდი	2.40	3.50	2.55	1.42	1.23	1.47
		შვედეთი. სუპერეტა						
		29 ივლისი						
18:00	127	იორებრო-ლანდსკრონა	1.85	3.50	3.75	1.21	1.23	1.81
		30 ივლისი						
19:00	129	ბრიჰაბიეარნა-იონკოპინგი	1.70	3.60	4.40	1.15	1.22	1.98
21:00	130	ფალკენბერგი-უმეა	1.55	3.70	5.10	1.09	1.18	2.14
21:00	132	ნორჩიოპინგი-ასირიანა	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
21:00	133	ქვიდინგე-ტრელებორგი	4.20	3.60	1.70	1.93	1.21	1.15
		31 ივლისი						
19:00	128	ატვიდაბერგი-სუნდსვალი	2.30	3.30	2.80	1.35	1.26	1.51
21:00	134	ვესტი-დეგერფორსი	2.45	3.20	2.55	1.38	1.24	1.41
		ფინეთი						
		27 ივლისი						
19:30	135	ტამპერე-ისტერი	1.40	3.80	7.00	1.02	1.16	2.46
		29 ივლისი						
17:00	136	ჯეიპიი-მიკა	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		30 ივლისი						
19:30	137	ჰაგა-იარი	1.45	3.80	6.30	1.04	1.17	2.37
19:30	139	ვპს-ჰოს�ა	3.20	3.30	2.00	1.62	1.23	1.24
19:30	141	ჰიკი-კუპ	1.35	4.20	7.00	1.02	1.13	2.62
		ირლანდია						
		28 ივლისი						
22:45	143	დერი-უოტერფორდი	1.20	5.00	12.00	1.00	1.09	3.52
22:45	145	დუბლინი-ბოჰემიანი	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
23:00	146	შელბურნი-სლიგო	1.30	3.80	9.00	1.00	1.13	2.67
		29 ივლისი						
22:30	147	ლონგფორდი-დროგედა	2.80	3.10	2.25	1.47	1.24	1.30
		უეფას თასი						
		27 ივლისი						
17:00	193	ტობილი-ბაზელი	6.50	4.00	1.32	2.47	1.09	1.00
19:00	195	სკონტო-ჟენევა	1.12	7.00	10.50	1.00	1.01	4.19
19:00	196	სუდუვა-რილი	1.40	3.90	6.30	1.03	1.14	2.40
19:00	197	ტირანა-ვარტექსი	2.10	3.30	2.75	1.28	1.19	1.50
19:00	198	ყარაბახი-ზიმბრუ	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
19:30	199	დინამო(მინსკი)-ზაგლებე	1.80	3.40	3.30	1.17	1.16	1.67
19:45	200	ფლორა-ლინი	4.10	3.40	1.65	1.85	1.17	1.11
20:00	201	ნისტრუ-ბატე	2.40	3.20	2.60	1.37	1.24	1.43
20:00	202	ჰაგა-ლევადია	1.55	3.60	4.70	1.08	1.16	2.03
20:00	203	ეტცელა-აუვიდაბერეუ	7.00	4.10	1.35	2.58	1.13	1.01
20:00	205	სლიემა-რაპიდი(ბ)	8.00	5.00	1.20	3.07	1.04	1.00
21:00	206	ომონია-რიეკა	2.05	3.20	2.95	1.24	1.20	1.53
21:00	207	ცსკა(ბულ)-დინამო(ტირანა)	1.17	5.50	11.00	1.00	1.05	3.66
21:00	208	გოტა-ვენტსპილსი	4.50	3.70	1.55	2.03	1.15	1.09
21:00	209	სტარტი-სკალა	1.05	8.00	18.00	1.00	1.00	5.53
21:00	210	კაუნასი-პორტადავსი	1.20	5.40	8.50	1.00	1.05	3.30
21:00	211	ტრნავა-კარვანი	1.25	5.00	7.50	1.00	1.07	3.00
21:30	212	ბრანი-გლენტორანი	1.18	5.00	11.00	1.00	1.06	3.43
21:30	213	იანგ ბოიზი-მიკა	1.10	7.00	12.50	1.00	1.04	[illegible]
21:30	214	ვალეტა-უიპეშტი	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54
21:45	215	ლიტექსი-კოპერი	1.30	4.40	7.50	1.00	1.10	2.77
22:00	216	რუსელარე-ვარდარი	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29
22:15	217	დომჟალე-ორასიე	1.20	5.00	9.00	1.00	1.05	3.21
22:00	218	ჯინამო(ბუქ)-ჰიბერნიანსი	1.04	7.00	18.00	1.00	1.00	5.03
22:30	220	ლანელი-ბეეზლე	4.50	3.40	1.60	1.93	1.18	1.08
22:30	221	დერი-ვიოტებორგი	4.30	3.40	1.65	1.89	1.19	1.11
22:45	222	დროგედა-ჰელსინკი	2.70	3.10	2.30	1.44	1.24	1.32
23:00	223	მურატა-აპოელი ნ	6.00	4.10	1.40	2.43	1.13	1.04
23:15	224	ვალერი-ბრონდბიუ	5.20	3.60	1.50	2.12	1.16	1.05
22:00	225	აკრასესი-რასდერსი	2.80	3.20	2.10	1.49	1.20	1.26
		შვედეთი. თასი						
		27 ივლისი						
21:00	337	ჰელსინგბორგი-ფალკენბერგი	1.30	4.30	8.00	1.00	1.11	2.79
		ლიბერტადორესის თასი						
		27 ივლისი						
23:45	390	ლიბერტადი-ინტერნაციონალი	2.00	3.30	3.15	1.24	1.22	1.61
		ჩოგბურთი. ქალები. ბუდაპეშტი						
		27 ივლისი						
12:00	428	კანეპი-ბირნროვა	1.55					1.90
12:00	429	კასტანო-რეტაი	1.55					2.00
		ჩოგბურთი. კაცები. უმაგი						
		27 ივლისი						
18:00	419	ლლოუდი-ვანეკი	1.55					2.10
		ჩოგბურთი. ქალები. სტენფორდი						
		27 ივლისი						
18:00	420	ვაიდისოვა-ბამერი	1.15					3.50

ფორმულა 1. 28 ივლისი. გერმანია

13:00	1001	გამარჯვებული	მონტეირო	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალბერსი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	სპიდი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	კლიენი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	კულტხარდი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	ვოლნევი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	რაიკონენი	9.00
13:00	1001	გამარჯვებული	სატო	50.00
13:00	1001	გამარჯვებული	როსბერგი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	ჰეიდფელდი	90.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბატონი	70.00
13:00	1001	გამარჯვებული	ბარიკელო	60.00
13:00	1001	გამარჯვებული	დე ლა როსა	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	ტრული	35.00
13:00	1001	გამარჯვებული	რ.შუმახერი	20.00
13:00	1001	გამარჯვებული	ფიზიკელა	12.00
13:00	1001	გამარჯვებული	ალონსო	2.10
13:00	1001	გამარჯვებული	უებერი	120.00
13:00	1001	გამარჯვებული	მ.შუმახერი	1.70
13:00	1001	გამარჯვებული	მასა	12.00

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	სელტიკი-კილმარნოკი	1.40	2.80	11.00	1.00	1.24	2.23
10002	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	2.40	2.10	3.90	1.12	1.48	1.36
10003	დანფერმლაინი-ჰართსი	6.00	2.20	1.90	1.60	1.44	1.01
10004	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.45	2.10	3.55	1.13	1.44	1.31
10005	ინვერნესი-სტ.მირენი	2.25	2.10	4.30	1.08	1.47	1.41
10006	მოზერუელი-რეინჯერსი	7.00	2.50	1.65	1.84	1.33	1.00

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11002	დანდი იუნაიტედი-ფოლკირკი	2.80	10.00	20.00	3.80	4.40	6.30	20.00	10.00	5.50
11003	დანფერმლაინი-ჰართსი	7.50	10.00	20.00	8.00	4.40	3.50	20.00	10.00	2.25
11004	ჰიბერნიანი-აბერდინი	2.90	10.00	20.00	3.80	4.40	6.30	20.00	10.00	5.30
11005	ინვერნესი-სტ.მირენი	2.50	10.00	20.00	3.50	4.50	7.30	20.00	10.00	6.50
11006	მოზერუელი-რეინჯერსი	10.00	10.00	20.00	12.00	5.00	3.50	20.00	12.00	1.70

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		კი	არა
12001	სელტიკი-კილმარნოკი	2.20	1.50
12002	დანდი იუნ.ი-ფოლკირკი	1.70	1.90
12003	დანფერმლაინი-ჰართსი	1.90	1.70
12004	ჰიბერნიანი-აბერდინი	1.90	1.70
12005	ინვერნესი-სტ.მირენი	1.90	1.70
12006	მოზერუელი-რეინჯერსი	2.00	1.55

ზაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში ჰოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13001	სელტიკი-კილმარნოკი	1.90	1.60
13002	დანდი იუნ.-ფოლკირკი	1.70	1.90
13003	დანფერმლაინი-ჰართსი	1.70	1.90
13004	ჰიბერნიანი-აბერდინი	1.70	1.90
13005	ინვერნესი-სტ.მირენი	1.70	1.90
13006	მოზერუელი-რეინჯერსი	1.90	1.70

რომელი გუნდი ბახსნის მატჩში ანგარიშს

(ბანერის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე შანსი ფარდობლად ანაწილდება)

14001	სელტიკი-კილმარნოკი	1.05	2.80
14002	დანდი იუნ.-ფოლკირკი	1.65	2.10
14003	დანფერმლაინი-ჰართსი	2.50	1.30
14004	ჰიბერნიანი-აბერდინი	1.65	2.10
14005	ინვერნესი-სტ.მირენი	1.55	2.30
14006	მოზერუელი-რეინჯერსი	2.45	1.18

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	სელტიკი-კილმარნოკი	3.00	2.80	2.00
15002	დანდი იუნ.-ფოლკირკი	3.00	2.80	2.00
15003	დანფერმლაინი-ჰართსი	3.00	2.80	2.00
15004	ჰიბერნიანი-აბერდინი	3.00	2.80	2.00
15005	ინვერნესი-სტ.მირენი	3.00	2.80	2.00
15006	მოზერუელი-რეინჯერსი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16001	სელტიკი-კილმარნოკი	1.03	6.00
16002	დანდი იუნ.-ფოლკირკი	1.40	2.50
16003	დანფერმლაინი-ჰართსი	3.20	1.20
16004	ჰიბერნიანი-აბერდინი	1.40	2.45
16005	ინვერნესი-სტ.მირენი	1.30	2.80
16006	მოზერუელი-რეინჯერსი	4.50	1.15

გოლი:ფსევდონიმი-10თუ კენტი-2. (0:0 ითვლება ფსევდონიმად)

17001	სელტიკი-კილმარნოკი	1.85	1.95
17002	დანდი იუნ.-ფოლკირკი	1.85	1.95
17003	დანფერმლაინი-ჰართსი	1.85	1.95
17004	ჰიბერნიანი-აბერდინი	1.85	1.95
17005	ინვერნესი-სტ.მირენი	1.85	1.95
17006	მოზერუელი-რეინჯერსი	1.85	1.95

თასი მადლობით დაფასდა

პორტუგალიიდან ალაფით დაბრუნებულ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური შეხვდა და ამ ამბავს, ცხადია, ჟურნალისტების გარეშე არ ჩაუვლია. ქართველი ოცწლამდელები ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე მოკრძალებული ამბიციებით გაემგზავრნენ და ბევრისთვის მოულოდნელად, იქიდან თასით დაბრუნდეს.

გუშინ „სპორტკაფეში“ მადლობების ცვენა იყო — ფედერაცია სპორტის დეპარტამენტს ემადლიერებოდა მხარდაჭერისთვის, დეპარტამენტი მოთამაშეებს აქებდა — ერთი სიტყვით, ყველას თავისი წილი მადლობა მიეზღო.

დავით ნამგალაური კალათბურთის ფედერაციას მომავალშიც დაჰპირდა დახმარებას. აღნიშნა, რომ ახალგაზრდულ ნაკრებზე გაწეულ ამაგს ტყუილად არ ჩაუვლია და იმედი დაიტოვა, ეროვნული ნაკრებიც მიაღწევს დასახულ მიზანსო.

შეხვედრის სიმბოლო იყო თასმომარჯვებული ვიქტორ სანიკიძე, რომელმაც პორტუგალიაში საუკეთესო მოთამაშისა და ფორვარდის პრიზი დაისაკუთრა. ნაკრების ყველა წევრმა იქვე მიიღო გამარჯვებისთვის დაპირებული ფულადი პრემიები.

ბიჭები ხუმრობდნენ, თასს თავი უნდა წავახერხოთ, ბაბა, სხვანაირად გამარჯვებისა როგორ შევსვათ იქიდანო. რატომაც არ უნდა შესვან — ევროპის 15 ნაკრები უკან მოიტოვეს და ფინალური ეტაპის საგზური დაიბევეს — სწორედაც რომ აღსანიშნავი ამბავია.

ირაკლი პერტაია

ვიქტორ საუკეთესოს სიხარული

პორტუგალიური გამოცდილება ეროვნულ ნაკრებსაც გამოადგება

„პირველი ტაიმაშის შემდეგ ერთი წამითაც არ მიფიქრია, საუკეთესოდ თუ დამასახელებდნენ. ძალიან უიღბლოდ ვითამაშე ფინეთთან ჯგუფის მატჩი, მხოლოდ 15 ქულა დამიგროვდა“ — ამბობს ვიქტორ სანიკიძე დღეს, როცა პორტუგალიაში გამართული ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის უძვირფასესი მოთამაშისა და ზედ ჩაროზად საუკეთესო თავდამსხმელის პრიზი აქვს მოგებული. სანიკიძე მართლაც გამორჩეული ფიგურა იყო მთელ ტურნირზე — მისი ძალისხმევით საქართველომ არაერთ მატჩში დააღწია თავი წაგებას და საბოლოოდ იპირველა კიდეც...

— როცა პორტუგალიაში მიდიოდი, გჯეროდა, რომ პირველ ადგილზე გაზვიდოდით?

— პირადად მე მჯეროდა, რადგან, როცა მოედანზე ვარ, მხოლოდ მაქსიმუმისთვის ვიბრძვი და ჩემი თავის იმედი მაქვს. მთლად პირველობისა რა მოგახსენო, მაგრამ A დივიზიონში რომ გადავიდოდით, ამისი მჯეროდა.

— საუკეთესო მოთამაშე რომ გახდებოდი, ამას თუ ელოდი?

— არა, ნამდვილად არ ველოდი, მით უფრო, რომ თავიდან თამაში არ წამივიდა. თანაც ოფიციალურ შეხვედრებში თამაშის გამოცდილება არ მქონდა მას შემდეგ, რაც ათიოდ თვის წინ მუხლებზე ოპერაცია გავიკეთე. მოსამზადებელ პერიოდში სპარინგ-მატჩები არ გვქონია, მხოლოდ ვარჯიშებით შემოვიფარგლებოდით და ფორმაში არ ვიყავი.

— პირველ მატჩში რა მოხდა, რატომ ვერ ითამაშე?

— საწყის 5 წუთში 3 ჯარიმა მივიღე და მწვრთნელმა მოედანს გამარიდა. მთელი პირველი ტაიმი საცადარიგო ვიყავი. მოედანზე რომ დავბრუნდი, ჯარიმების საფრთხის გამო თავისუფლად ვერ ვთამაშობდი. აგრესიულობა მომაკლდა.

— მეორე თამაშიდან უკვე ხელ-ფეხი გაგეხსნა...

— ხომ გითხარით, სათამაშო პრაქტიკა მაკლდა-მეთქი. ამიტომაც ავიკიდე ფინეთთან უარესი ჯარიმები. ისლანდიასთან უკვე ვფრთხილობდი, შესაბამისად, უკეთესად ვითამაშე და საკუთარი ძალებიც ვირწმუნე.

— ყველაზე დრამატული წუთები გაიხსენე...

— ჩეხეთთან პირველ ტაიმში 20 ქულას ვაგებდით, მაგრამ საბოლოოდ 10-ით გავიმარჯვეთ. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება, რის შემდეგაც ყველა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ გამარჯვების რეალური შანსი გვქონდა.

— ალბათ საუკეთესო მატჩიც ეგ იყო...

— არა, საუკეთესოდ ალბათ მაკედონიელებიან ფინალში ვითამაშეთ. მეტოქის სიძლიერის ფაქტორს თუ გავითვალისწინებთ, ყველაზე რთული ნახევარფინალი და ფინალი იყო. მაკედონიასთან მთელი დარბაზი ჩვენ გვქომაგობდა. ისეთი გრძნობა დაგვეუფლა, თითქოს სპორტის სასახლეში, ანაც ვერის ბაღში ვმასპინძლობდით მაკედონიელებს.

— რატომ გქომაგობდნენ?

— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ სიმპათია დავიმსახურეთ. ჩვენი თამაში ყველას მოსწონდა. ცენტრი რომ არ გვყავდა, უფრო ლამაზად გამოგვდიოდა პერიმეტრიდან თამაში და ტურნირის განმავლობაში მატჩიდან მატჩამდე ვიხვეჭდით გულშემატკივრებს.

— ფინეთთან A დივიზიონში გადასასვლელი შეხვედრაზე რას იტყვი.

— მართალია, მეტოქემ 17-ქულიანი უპირატესობა გავგიბათილა და ბოლო მეოთხედში დაგვეწია კიდეც, მაგრამ ჩვენ უკვე დარწმუნებულები ვიყავით გამარჯვებაში, ფსიქოლოგიურადაც არ გავტყდით და ფინელებს მოვუგეთ. ლაშა გამყრელიძემ უძნიშნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო, რასაც მეც იგივეთი გამოვეხმაურე. ამის შემდეგ სხვაობა 8 ქულამდე გავზარდეთ და ყველაფერი ჩვენდა სასიკეთოდ გადაწყდა. ისე, ფინელებმა ჩვენთან მატჩამდე წააგეს, როცა საჯაროდ გამოაცხადეს, ქართველებთან თამაში არ გვინდა, ჯობს, ნახევარფინალში პოლონეთი შეგვხვდესო. უნდა გენახათ, როგორ გვქომაგობდნენ ფინელები პოლონეთთან. რომ მოგვეგო, ნახევარფინალში მაკედონიას ვეთამაშებოდით. ჩვენთვის სულ ერთი იყო, ფინელებმა კი მარჩიელობა დაიწყეს და დაისაჯნენ კიდეც.

— ახლა რას აპირებ?

— ეროვნული ნაკრების შეკრების დაწყებას ველოდები. 5 აგვისტოს ვიწყებთ და ძალიან მიხარია, კარგ ფორმაში რომ ვარ. პორტუგალიაში ძალები სრულად აღვდგინე და იმედია, ეროვნულ ნაკრებსაც გამოვადგები.

ირაკლი პერტაია

მაგ სიტყვებს უკან გადაგაყლაპებთ

იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისში დაღლილმა ამერიკის ნაკრებმა გარკვეული სახე მიიღო. გუნდის თავკაცმა, მაიკ კრაჟეევსკიმ, 15-კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელსაც ამხანაგურ შეხვედრებში ათამაშებს და 18 აგვისტოს მათგან 12 საუკეთესოს შეარჩევს. მსოფლიოს ჩემპიონატი კი 19 აგვისტოს იწყება. მანამდე ამერიკელები ლას ვეგასში სრულფასოვან საწვრთნელ შეკრებაზე ღვრიან ოფლს, იქვე პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავენ მეზობელ პაუერტო რიკოსთან, შემდეგ კი ჩინეთსა და სამხრეთ კორეაშიც „იამხანაგებენ“ რამდენიმე გუნდთან.

კრაჟეევსკის გუნდის საბოლოო, 12-კაციან განაცხადში ადგილი დაკავშული აქვს 2003 წლის „ოქროს დრაფტის“ 3 ვარსკვლავს — ლებრონ ჯეიმსს, დუეინ ვეიდსა და კარმელო ენტონის. მათ გარდა, გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდნენ — ჯილბერტ არენასი, ელტონ ბრენდი, კრის ბოში, ბრიუს ბოუენი, კრის პოლი, ანტუან ჯეიმსონი, მაიკ მილერი, ჯო ჯონსონი, დუაიტ ჰოვარდი, შეინ ბეტიე, ამარე სტუდემაიერი და კირკ ჰაინრიხი. ბოლო ორის გამოჩენა ცოტა მოულოდნელი იყო, რაკი სტუდემაიერს ორივე მუხლზე გადატანილი ოპერაციის გამო მთელი წელი გაუცდა, ჰაინრიხის პოზიციაზე, გამთამაშებლის ადგილზე კი დიდი კონკურენციაა. სავარაუდოდ, 18 აგვისტოს კრაჟეევსკი სწორედ ამ ორს და კიდევ ერთს დატოვებს მუნდიალს მილმა, მანამდე კი ეს რჩეული 15-ეული და მის გარეთ დარჩენილი რამდენიმე მოთამაშე კვლავ ერთად აგრძელებენ ვარჯიშს. 15 კაცში ვერ მოხვედრილთა შორისაა მძლავრი ფინიქსელი შონ მერიონიც, რომელმაც ბოლო ოფში მიღებული ტრავმა ბოლომდე ვერ მოიშუშა და, მისდა სამწუხაროდ, იაპონიაში წასვლას ვერ ახერხებს. ისე, მერიონი, სხვა გაზაფხულზე ჩაბარებული ვარსკვლავებისგან განსხვავებით, თავს არადროს იფასებს და პირველი დაძახებისთანავე მიდის ნაკრებში.

წლეულს მიკროტრავმებისა და ოჯახური მიზეზების გამო გაფარეთოებული შემადგენლობიდან რამდენიმე დიდვარსკვლავი ამოეწერა — ბრაიანტი, ბილაფსი, პირსი და რედი. ესენი ისეთი გაქანების მოთამაშეები არიან, 12-კაცა გუნდში ულაპარაკოდ რომ მოხვდებოდნენ.

ამ სერიოზული სამზადისის მიუხედავად, ბევრი მაინც სკეპტიკურად უყურებს „დრიმ თიმის“ ამ ერთ-ერთ შთამომავალს. თუ ნაკრებია, ნაკრები უნდა იყოს და მასში ჯეიმსონი და ჰაინრიხი კი არა, დანკანი, შაკი და თუნდაც იგივე ბრიანტი უნდა თამაშობდნენო, მაგრამ კრაჟეევსკის გუნდი დახურულ კარსაქიდან ოპტიმიზმის მოლეკულებს აფრქვევს.

„ჩვენ ვაპირებთ, დავამტკიცოთ, რომ აგდებულად არ ვუყურებთ საერთაშორისო თამაშებს და ტურნირებს და იაპონიაში საღლაბუცოდ არ მივდივართ. ბევრი იშვერს თითს ჩვენკენ და ჩუმად ქირქილებს, მაგრამ ამ ხალხს ვაიძულებთ, თავიანთი სარკასტული ფრაზები უკან გადაყლაპონ“ — აი, როგორი კატეგორიული და შემართულია დუეინ ვეიდი, რომელმაც წლეულს „მაიამის“ ნბა-ს პლეი ოფი მოაგებინა, ახლა კი შტატებში მსოფლიო ოქროს დაბრუნებას ასეთი ბრიალა თვალებით აპირებს.

„ამ შემადგენლობას, ამ გუნდს შეუძლია საუკეთესო კალათბურთი ითამაშოს და ითამაშებს კიდეც — ეს უკვე კრაჟეევსკის სიტყვებია — თუ ვერ ვითამაშეთ, მაშინ, რაც გინდათ, ის გვიყავით.“

კოტე ყორშია

ბრინჯაომ ფიქრში ოქრო გამოაჩინა

ევრომედალოსანი მსოფლიოს ოლიმპიადის თვალით უყურებს

კახა ჟვანია ევროპამოვლილი ქართული საკრივო ათეულის ერთადერთი მედალოსანია. 23 წლის ფოთელი მოკრივე დიდ კვარცხლბეკთან ახლოს აქამდეც მდგარა, მაგრამ ყოველთვის თითო ნაბიჯი აკლდებოდა. 2004 წლის ევროპისა და 2005 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მეოთხედფინალში დამარცხდა. პირველად მსოფლიოს ჩემპიონთან, მეორედ — ოლიმპიურ ჩემპიონთან. ამჯერად ბრინჯაოს შესწვდა. თუმცა... ფინალამდე მსაჯმა არ მიუშვა. წლევანდელი ევროსამზადისი ხეირიანად არც გაუვლია. პროფესიონალებში გადასვლაზე ფიქრობდა და ბოლო მომენტშილა გადაიფიქრა, ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე. მოყვარულებში დასარჩენად ახლა მეტი მოტივაცია აქვს. ბრინჯაო ოქრო-ვერცხლით უნდა შეცვალოს

გაფრინ ალბათ ალბათ

— ევროპირველობამდე მწვრთნელები შედლის უმთავრეს კანდიდატად გასახელებდნენ. თავად თუ ელოდი წარმატებას?

— მედალზე მართლაც სერიოზულად ვფიქრობდი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უიღბლო სპორტსმენი ვარ. წინა ევროპაზე და მსოფლიოზე კვარცხბეკამდე თითო გამარჯვება დამაკლდა. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე სამი მოგება არ მეყო მედლისთვის, მაშინ, როცა ზოგიერთმა ამ მაჩვენებლით ფინალი გაინაღდა. მჯეროდა, მიზანს ახლა მაინც მივაღწევდი.

— მედალი აიღე, მაგრამ ნახევარფინალში ისეთი მცირე სხვაობით წააგე, ბრინჯაოსთან ერთად ალბათ დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც დაგრჩა.

— აშკარად მეტი შემეძლო, მაგრამ ფინალში გასასვლელად მასპინძელ სპას გენოვს გადავეჯარე და პირდაპირ გეტყვით, წამაგებინეს. თუ გახსოვთ, ათენში ნიკოლოზ იზორია რომ დაჩაგრეს, იმაზე უარეს დღეში ჩამაგდეს. ყველა ხედავდა, როგორ ცდილობდნენ, ფინალში ბულგარელი გასულიყო, ტრიბუნები ლამის სტვენით დაინგრა. მასპინძელთა გულშემატკივარების გარდა აბსოლუტურად ყველა ჩემს მხარეს იყო. შეხვედრის შემდეგ გენოვის მთავარი მწვრთნელი მოვიდა. მითხრა, კარგად იჩხუბეო და პირდაპირ აღიარა, ეს ბრძოლა რომ სხვაგან ჩატარებულიყო, ფინალში შენ გახვიდოდიო.

— შედეგის გაპროტესტება არ გიცდიათ?

— გაგიკვირდებათ და ჩეხებმა დაგეასწრეს. ხნორედ იქაური კრიკის ფედერაციის პრეზიდენტმა შეიტანა საჩივარი, ისეთი გაოგნებული და აღშფოთებული იყო შედეგით. რა თქმა უნდა, არ დააკმაყოფილეს. შეხვედრის ვიდეოჩანაწერიც ჩამოვიტანეთ და პატარა ბავშვმაც რომ ნახოს, მიხვდება შედეგის არაობიექტურობას.

— გენოვი ჩემპიონი მაინც ვერ გახდა. ფინალში აღარ წაეხმარნენ?

— ფინალში რუსს შეხვდა. იქ მის მიხმარებას ვერავინ გაბედავდა. ფედერაციის პრეზიდენტი ხომ რუსი ჰუსეინოვია.

— ხაინტერესოა, ეს ხომ არაა ერთ-ერთი მიზეზი, რუსები თერმომეტივე წონაში ფინალში რომ გავიდნენ და ცხრა ოქრო აიღეს?

— უძლიერესი ნაკრები ჰყავთ, მაგრამ მათ მართლაც გამორჩეულად ეხმარებოდნენ. ჩემი დაჩაგვრითაც ალბათ ბულგარელებზე მეტად რუსები იყვნენ დაინტერესებულნი. ძალიან კარგად დავიწყე, მეოთხედფინალში კი ისე იოლად მოვიგე, ერჩივნათ, ფინალში გენოვს დაპირისპირებოდნენ.

— ნახევარფინალამდე არ გიგრძვნია არაობიექტურობა?

— სამი ბრძოლიდან ორი ვადაზე ადრე მოვიგე. ასეთ დროს მსაჯებიც უძლურნი არიან. მეოთხედფინალში ირლანდიელი მეტოქე პირველსავე რაუნდში ნოკაუტით დავამარცხე. გრძნობა რომ არ დაეკარგა და ბოლომდე ებრძოლა, იქნებ მასთანაც უკუღმა დაეთვალათ ქულები.

— სხვა ჩვენებურებიც დაიჩაგრნენ არაობიექტური მსაჯობით?

— იუზა გულორდავას ერთი რაუნდის განმავლობაში სამი გაფრთხილება მისცეს და ტურნირიდან მოხსნეს. აშკარა იყო, უმიზეზოდ გაწირეს. ეს მსაჯის შეცდომა აღმოჩნდა, რადგან მსაჯთა კოლეგიამ გულორდავას დამჩაგრავი მკაცრად გააკრიტიკა. მერე მსაჯი იუზასთან მოვიდა და ბოდიშიც მოუხადა, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა...

— ევროპის ჩემპიონატამდე პროფესიონალებში გადასვლას აპირებდი. მერე გადაიფიქრე. ამ ბრინჯაომ ალბათ სამოყვარულო მოტივაცია კიდევ უფრო გაგიზარდა...

— რა თქმა უნდა, ოქროზე უფრო მეტად ვფიქრობ. პლოვდივის შედეგი აუცილებლად უნდა გავუმჯობესო.

— მაშასადამე სამოყვარულო კრივის მიტოვებაზე ფიქრი დასრულებულია?

— ამ ეტაპზე ასეა. საერთოდ კი ჯერ არ ვიცი. პროფესიონალებში გადასვლის მთავარი მიზეზი ფინანსური უპირატესობაა. ვხედავდი, აქ არაფერი გამომდიოდა და გადაწყვეტილება მივიღე, ჩემი თავისთვის თავად მიმეხედა. მერე ხელმძღვანელობა შეიცვალა. წარმატების შემთხვევაში ხელშეწყობის დაპირებები მივიღე და წასვლაც გადავიფიქრე. თან ევროპის ჩემპიონატზე გამოსვლაც მინდოდა...

— ის გაურკვევლობის პერიოდი ევროპირველობის მოსამზადებელ ციკლს დაემთხვა და გუნდს გვიან შეუერთდი. ამან შენს სპორტულ ფორმაზეც ხომ არ იმოქმედა?

— მართლაც, სულ რაღაც ერთი თვე გამომივიდა ვარჯიში და ევროპის ჩემპიონატს ნახევრად მომზადებული შევხვდი. შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე აშკარად უკეთეს ფორმაში ვიყავი. ახლა კი ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი მაკლდა. თან სატურნირო გამოცდილებაც არ მქონდა. ისე, ის ერთი თვე მაინც მაქსიმალურად გამოვიყენე, რაც ჩემი პირადი მწვრთნელის ტარიელ ვერულაშვილის, ნაკრების თავკაც დათო ცერცვაძის და ექიმ-ზურაბ კახაბრიშვილის დამსახურებაა.

— წლეულს სერიოზული ტურნირი აღარ გიწევს. შეგიძლია, გემრიელად დაისვენო...

— დაახლოებით ერთი კვირა დავისვენებ, მერე კი უკვე მომავალი წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის დავიწყებ მზადებას. მასზე ხომ ოლიმპიური ლიცენზიებიც გასამაშდება.

ოთარ გალლაძელიძე

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ორადეა. რუმინეთი. 22-30 ივლისი

მეოთხე მარცხი რუმინულ წყალში

ნათელია, რომ რუმინეთის ქალაქ ორადეაში მიმდინარე ევროპის ახალგაზრდა წყალბურთელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ველარც მეცხრე-მეათე ადგილებისთვის იბრძოლებს, რაც საგაისოდ ასეთივე შეჯიბრებების შესარჩევ ტურნირს აგვარიდებდა და მსოფლიოს პირველობის საგზურსაც მოგვაპოვებინებდა. ამგვარი იმედი გუშინ საბოლოოდ გადაგვეწურა, როცა ჩვენმა წყალბურთელებმა სლოვენიელებთანაც წააგეს 8:11. თანაც შეტოქემ პირველი სამი პერიოდიც მოიგო (3:1, 3:2, 2:1) და მხოლოდ მეოთხე დათმო მინიმალური სხვაობით (3:4), როცა შეხვედრის ბედი პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო.

გუშინვე რუმინეთის ნაკრებმა, რომელიც ჯგუფში ქართველებთან მოპოვებული 2 ქულით ავრძელებს მეცხრე-მეათე ადგილებისთვის ბრძოლას, ბრიტანელები დაამარცხა 16:11 (2:1, 7:2, 1:3, 6:5).

დღეს საქართველოს ნაკრები ბრიტანეთის გუნდს შეხვდება, რომელმაც განულილი ოთხი ბრძოლიდან ჩვენსავით ოთხივე წაგო.

მეორე ეშელონის გუნდებიდან გუშინ იტალიელებმა ჰოლანდიელებს სძლიეს (12:10), ხოლო რუსებმა 4:0 მოუგეს პოლონელებს, რომლებსაც ასევე ყველა შეხვედრა წაგებული აქვთ.

ავთანდილ ბუკიშელი

ერთსაათიანი პარიზობა

უიღბლო გამოდგა პარიზული ტური ქართულპასპორტიანი ბრაზილიელებისთვის. პლაჟის ფრენბურთის ქართულმა წყვილმა რენატომ და ჟორჟიმ, იმავე გეორ და გიამ მსოფლიოს თასის პარიზული ეტაპი დაიწყო და ეგრევე დაასრულა.

მსოფლიო რეიტინგში საერთო ჩათვლაში 21-ე ადგილზე მყოფმა და 30 ათასი დოლარის მომხვეჭმა გეორ და გიამ ფრანგულ ქვიშნარზე თამაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყო. ჩვენები საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი წრიდან თავისუფლები იყვნენ, რაკი რეიტინგში პეკინის ოლიმპიადისთვის გამზადებულებში არიან. მეორე წრეში კი პარიზულ ეტაპზე მე-9 ნომრად განთესილებმა 24-ე ნომრებთან, ნორვეგიელებთან ბოიოლენთან და გუსანსონთან მოულოდნელად ერთ საათში 1:2 წაგეს და ძირითად ბადეში ვერ მოხვდნენ. პლაჟის ფრენბურთში კი, საკვალიფიკაციოსგან განსხვავებიც, ძირითად ბადეში ერთი წაგება გეპატიება. ასე რომ, ჩვენებს ახლა მომავალ ეტაპამდე ერთკვირიანი უქმობა უწევთ.

ბაჩო სვანიძე

ლეიტონ ჰიუიტს არგენტინა აშინებს

კაცები

კიცბიუელი. ავსტრია. თიხნარი

საპრიზო 646 250 €

პირველი წრე

ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) 7:6 6:3; **ალექსანდერ ვასკე** (გერმანია) — **ლუკაშ კუბოტი** (პოლონეთი) 6:3 3:6 7:6; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — **ლეონარდო აზარო** (იტალია) 6:4 6:2; **რაინერ ერციინგერი** (ავსტრია) — **ოლივიე მარახი** (ავსტრია) 6:3 6:0; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — **რაინერ შუტლერი** (გერმანია) 6:1 (უარი); **იურგენ მელცერი** (ავსტრია) — **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) 6:3 6:4

მეორე წრე

დენის გრეგელმაირი (გერმანია) — **კრისტოფერ როხუსი** (14, ბელგია) 7:5 6:1; **ფილიპ კოლშრაიბერი** (13, გერმანია) — **პეტერ ლუჟაკი** (ჩეხეთი) 7:6 7:5; **მიხაილ იუჟნი** (8, რუსეთი) — **მარტინ ვასალო არგუელო** (არგენტინა) 0:6 6:4 7:6; **ანდრეი პაველი** (16, რუმინეთი) — **მარკოს დანიელი** (ბრაზილია) 6:4 6:4

კაცები

უმაგი. ხორვატია. თიხნარი

საპრიზო 340 250 €

პირველი წრე

კარლოს ბერლოკი (არგენტინა) — **სტეფანო გალვანი** (იტალია) 6:2 6:2; **ხუან პაბლო გუზმანი** (არგენტინა) — **გილერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) 4:6 6:3 6:4; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — **ირჟი ნოვაკი** (ჩეხეთი) 6:4 6:7 7:6; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (4, სერბეთი) — **ლუკა ბელიჩი** (ხორვატია) 6:3 6:3; **სტეფანო იანი** (იტალია) — **თეიმურაზ გაბაშვილი** (რუსეთი) 6:6 (უარი); **სტანისლას ვავრინკა** (შვეიცარია) — **ალბერტო მარტინი** (6, ესპანეთი) 7:6 6:4; **ხუან მარტინ დელ პორტო** (არგენტინა) — **რაემონ სლუტერი** (ჰოლანდია) 6:3 6:2; **როგინ ვიკი** (ჩეხეთი) — **გილერმო კორია** (3, არგენტინა) 6:2 6:3

კაცები

ლოს ანჯელესი. აშშ. ჰარდი

საპრიზო 500 000 $

პირველი წრე

სკოტ ოუდსეგა (აშშ) — **ბენჯამინ ბეკერი** (გერმანია) 7:5 6:3; **სეგ ძეერი** (აშშ) — **ვინსენტ სპადეა** (აშშ) 7:5 6:4; **მარატ საფინი** (რუსეთი) — **მარდი ფიში** (აშშ) 6:4 7:5; **გეორგ ბასტლი** (შვეიცარია) — **ნიკოლა მაჰუ** (საფრანგეთი) 6:3 7:6; **დმიტრი ჰრბატი** (7, სლოვაკეთი) — **ზაკ ფლაიშმანი** (აშშ) 7:5 7:5; **ლარს ბურგსმიულერი** (გერმანია) — **მიკლ იანი** (აშშ) 6:4 3:6 6:3; **რობი ჯინეპრი** (4, აშშ) — **ჯასტინ გიმელსტობი** (აშშ) 6:4 6:4; **ტომი ჰაასი** (5, გერმანია) — **უეინ არტურსი** (ავსტრალია) 6:4 6:4; **პოლ გოლდსტინი** (აშშ) — **ლეიტონ ჰიუიტი** (2, ავსტრალია) 6:4 6:4

ლეიტონ ჰიუიტი

ქალები

სტენფორდი. აშშ

ჰარდი. საპრიზო 600 000 $

პირველი წრე

ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) — **ლილია ოსტერლოჰი** (აშშ) 7:5 6:3; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — **ოლგა სავჩუკი** (უკრაინა) 6:1 6:3; **აი სუგიამა** (6, იაპონია) — **კვეტა პეშკე** (ჩეხეთი) 6:3 6:4; **ვასილისა ბარდინა** (რუსეთი) — **სანია მირზა** (ინდოეთი) 6:3 6:2; **შენეი პერი** (აშშ) — **დანიელა ჰანტუხოვა** (5, სლოვაკეთი) 6:2 0:6 6:3

ქალები

ბუდაპეშტი. უნგრეთი. თიხნარი

საპრიზო 145 000 $

პირველი წრე

კატალინა კასტანო (1, კოლუმბია) — **კირა ნაგი** (უნგრეთი) 6:3 6:2; **არანტა რეზაი** (საფრანგეთი) — **ანტონელა სერა ძანეტი** (იტალია) 7:5 6:0; **ლაურა პოუს ტიო** (ესპანეთი) — **ალისა კლეიბანოვა** (რუსეთი) 6:3 6:4; **ევა ბირნეროვა** (ჩეხეთი) — **კლარა კუკალოვა** (3, ჩეხეთი) 6:1 3:6 6:1; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — **ტეოდორა მირჩიჩი** (სერბეთი) 6:3 6:1; **მარტინა სუზა** (7, სლოვაკეთი) — **იარმილა გაიდოშოვა** (სლოვაკეთი) 7:6 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო** (5, ესპანეთი) — **ეკატერინა ბოჭკოვა** (რუსეთი) 6:4 6:4; **აგნეშკა რადვანსკა** (პოლონეთი) — **ლუსი ჰრადეჩკა** (ჩეხეთი) 4:6 7:6 6:3; **რომინა ოპრანდი** (იტალია) — **სოფია გუბაში** (უნგრეთი) 6:1 6:3; **ივეტა ბენეშოვა** (4, ჩეხეთი) — **კატერინა ბომოვა** (ჩეხეთი) 7:6 2:6 6:4; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — **მარეტ ანი** (ესტონეთი) 6:3 6:1; **მიქაელა პრაიჩეკი** (2, ჰოლანდია) — **სტეფანი ფორეზი** (საფრანგეთი) 6:1 5:7 6:1

საჩოგბურთო კვირის მთავარი ამბები კვლავაც ძველებური ისევ კალიფორნიის თაკარა მზის ქვეშ, ლოს ანჯელესში ვითარდება.

ამჯერად აქ სენსაცია ვიხილეთ — მეორე ნომერი ლეიტონ ჰიუიტი ტურნირს პირველივე წრეში გამოეთხოვა. ავსტრალიელი ვერაფრით ახერხებს ძველებური სტაბილურობის მიღწევას და უკვე სამი წელიწადია, რაც თვალში საცემი ჩავარდნებით თამაშობს. ახლაც, რომელშიც ყველას ეგონა, პრობლემები უკან მოიტოვა და იქნებ კვლავ ძველებური ჰიუიტი ვიხილოთო, ოზმა ლოს ანჯელესში პოლ გოლდსტინთან ორ სეტში თითქმის უბრძოლველად წაგო.

როგორც ჩანს, ლეიტონზე ცუდად მოქმედებს დევისის თასის დამდეგი ნახევაფინალური მატჩი, როცა მის ავსტრალიას არგენტინაში მოუწევს სტუმრობა. ჰიუიტმა უკვე ორი პრესკონფერენცია მოაწყო იმის სათქმელად, რომ ბუენოს-აირესში უსაფრთხოების გარანტიას მასპინძლები ვერ მაძლევენ და არ ვიცი, ჩასვლა დირს თუ არაო. ჰოდა, ამაზე მონერვიულე ავსტრალიელს გოლდსტინისთვის სადღა ეცალა.

სამაგიეროდ, აღირსა და თავისი გულშემატკივრები გაახარა მარატ საფინმა, რომელმაც ერთთვიანი შესვენების შემდეგ თამაში მოიგო. ერთ დროს რეიტინგის სათავეში მყოფ რუსს ძალიან მძიმე პერიოდი უდგას და აქედან თავის დაძრომას ცდილობს. გუშინდელ გამარჯვებაში კი მარატს მეტოქე მარდი ფიშიც კარგად წაეხმარა, რადგანაც მოწოდება საერთოდ არ წაუვიდა. ამან კი საფინს ერთიორად გაუადვილა საქმე.

შემდეგ წრეში ასევე გააღწიეს რობი ჯინეპრიმ და ლოს ანჯელესის 2004 წლის ტრიუმფატორმა ტომი ჰაასმა.

კიცბიუელში კი გერმანელები გამოიყურებიან კარგად — ფილიპ კოლშრაიბერმა და დენის გრემელმაირმა უკვე მესამე წრეში გააღწიეს. მათ იქ მიხაილ იუჟნიც შეურთდა, რომელიც არგენტინელ არგუელოსთან პირველ სეტში ნულზე წაგებამ იმდენად გაამწარა, რომ მერე შანსი აღარ დაუტოვებია მეტოქისთვის.

აი, ხორვატიულ უმაგს კიდევ ერთი, აწ უკვე ყოფილი გრუნტის სპეციალისტი გამოეთხოვა — ხუან-კარლოს ფერეროს ბედი გილერმო კორიამაც გაიაზირა და, ესპანელის არ იყოს, არგენტინელის საქმეებიც უკან-უკან მიდის.

ბალკანეთზე კიდევ ერთ ესპანელსა და გრუნტის მოყვარულ ალბერტო მარტინს არ გაუმართლა, რომელსაც სტანისლას ვავრინკამ ორ სეტში მოუგო და ბილეთიც გამოუწერა სამშობლოსკენ.

ერთი მოულოდნელობა სტენფორდშიც ვიხილეთ, სადაც დანიელა ჰანტუხოვამ ერთი სეტი მასპინძელ პერის ნულზე კი მოუგო, მაგრამ სასუხოდ ორი წააგო და კვირის დარჩენილი ნაწილი თამაშგარე იქნება.

ქაჯა ლომაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარი კასპაროვი ძველ ორთაბრძოლებს იხსენებს

სამი დიდი K და პოლგარი

კასპაროვმა ციურიხამდე 1982 წელი გაიხსენა

დიდი ჭადრაკიდან წასული მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი 22 აგვისტოს ციურიხში „LICHTHOF CHESS CHAMPIONS DAY“-ს ტურნირში ითამაშებს. შეჯიბრის ორგანიზატორი „CREDIT SUISSE“ ბანკია, რომელსაც იმ დღეს 150 წელი უსრულდება და ეს ღონისძიებაც ამ თარიღს უკავშირდება. კასპაროვის გარდა ციურიხში ითამაშებენ პლანეტის მე-12 ჩემპიონი რუსი ანატოლი კარპოვი, კასპაროვისა და კარპოვის ძველი მეტოქე და ყოფილი მისი თანამემამულე ვიქტორ კორჩნოი და საუკეთესო ქალი დიდოსტატი, უნგრელი იუდიტ პოლგარი.

შეგახსენებთ, რომ კასპაროვმა დიდი ჭადრაკი გასულ წელს დატოვა და მთელი ძალებით პოლიტიკაში გადაერთო. მაშინ დიდოსტატმა აღნიშნა, რომ პროფესიულ ჭადრაკს აღარ დაუბრუნდებოდა, თუმც ხანდახან საჩვენებელ, სწრაფ პარტიებს ითამაშებდა.

„ცოტა მეუხერხულება, ჭადრაკს კორჩნოიზე ადრე რომ დავანებე თავი. უმაღლეს დონეზე ჩვენ ჯერ კიდევ 1982 წელს ვითამაშეთ. მაშინ 19 წლის ვიყავი, ის 51-ის. ახლა მე პენსიაზე ვარ, კორჩნოი კი კვლავაც თამაშობს. ვფიქრობ, ეს ტურნირი ბევრ კარგ ამბავს გამახსენებს“ — განაცხადა კასპაროვმა.

ტურნირამდე დიდოსტატი ხორვატიაში მწვრთნელ ალექსანდრ ნიკიტინთან მოემზადება. ამ უკანსკნელის აზრით, კასპაროვს ფორმის აღდგენა არ გაუჭირდება.

„კასპაროვს დიდი ტალანტი აქვს, თან სწრაფ ჭადრაკს ახლაც ხშირად თამაშობს და მალე ძველებურად აბობოქრდება“ — განაცხადა ნიკიტინმა.

ლაშა გეგეჭკორი

მელიქიშვილს ქირითადი კარი არ გაუღია



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლადო ჩიხლაძე

ავსტრიის ქალაქ სენტ-პოლტენში ITF-ის ეგიდით მიმდინარე სათიხნარო ტურნირზე ლადო ჩიხლაძე პირველ ნომრადაა განთესილი და ამართლებს კიდეც ფავორიტის სტატუსს. პირველ წრეში საქართველოს მეორე ჩოგნის მეტოქე 17 წლის ჩეხი მიხალ კონეჩნი იყო და დევისის თასზე მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების ტალღაზე მყოფმა ლადომ ორ სეტში — 6:4 7:6 დაჯაბნა მოწინააღმდეგე.

ჩიხლაძის მეორე მეტოქე 20 წლის გერმანელი კრისტიან ბლოკერია, ვისაც პირველ გამარჯვებაში მოწინააღმდეგის ტრავმაც დაეხმარა — ბლოკერი 6:3 3:0 უგებდა ჩეხი ირჟი სკოლოდიკს, როდესაც ამ უკანასკნელმა თავი შეუძლოდ იგრძნო და თამაში შეწყვიტა.

იტალიური მონტენორი დარბიას თიხაზე, ასევე ITF-ის ეგიდით, ოღონდაც ქალთა 25 ათასიანი ტურნირი ტარდება და იქ მე-6 ნომრად არის განთესილი ჩვენი პირველი ჩოგანი მაკა ჩახნაშვილი. მაკას სასტარტო შეხვედრა 23 წლის სერბ ანა ტიმოტიჩთან აქვს, ვინც WTA-ს რეიტინგში ჩვენებურზე ოდნავ დაბლა, 249-ე საფეხურზე იმყოფება.

ამერიკული ლექსინგტონის ჰარდზე კი 50 ათასი დოლარი საპრიზო ფონდის მქონე შეჯიბრი მიმდინარეობს და სამწუხაროდ, ტურნირის ძირითად ბადეში ვერ მოხვდა ჩვენი მეორე ჩოგანი სოფო მელიქიშვილი. არადა, სოფომ საკვალიფიკაციო შეჯიბრი კარგად დაიწყო და ზედიზედ ორ მასპინძელს მოუგო — რიზა სალამედას 6:4 7:6 სძლია, ხოლო ელიზაბეტ კუბეკი სამ სეტში — 5:7 6:2 6:1 დაჯაბნა. მესამე წრეში კვალიფიკანტთა შორის მე-5 ნომრად განთესილი მელიქიშვილის მეტოქე ვეტერანი ბულგარელი, 32 წლის სვეტლანა კრივენჩევა იყო, ვინც ამჟამად 419-ე ადგილზეა ქალთა კლასიფიკაციაში. ამ კრივენჩევას რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არც ადრე ჰქონია, რეიტინგში ყველაზე მაღლა, 165-ე ადგილზე შორეულ 1997 წელს იყო, მაგრამ ამჯერად ჩვენებურზე უკეთ გამოიყურებოდა და მელიქიშვილი 6:4 6:0 დაჯაბნა.

ჩვენი ქალთა ჩოგბურთის მე-4 ნომერი სალომე დევიძე ამ კვირაში, სულაც WTA-ს ეგიდით მიმდინარე შეჯიბრში იღებდა მონაწილეობას. ამერიკული სტენფორდის ჰარდზე 600 ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის საკვალიფიკაციო ეტაპზე დევიძე პირველივე წრეში დამარცხდა. მერე სალომემ ცნობილ რუს ტატიანა პანოვასთან ერთად წყვილთა ძირითად ბადეში სცადა ბედი და კვლავაც წარუმატებლად — უკრაინელების ალიონა და კატერინა ბონდარენკოების დუეტმა ქართულ-რუსული ტანდემი იოლად — 6:1 6:1 დაამარცხა.

გია მუჯირი

ბრილიანტები ფეხქვეშ

სტოკჰოლმში ტერფებიც ელავს

კაისა ბერგკვისტი

აგვისტოს მეორე ნახევარში შვედეთში დიდ სამძლეოსნო სტუმრიანობას ელიან — სიდიდით ქვეყნის მეორე ქალაქი გეტებორგი ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს. მანამდე კი არც დედაქალაქი სტოკჰოლმი დარჩა განზე. 40 წელია, იქ მძლავრი ტურნირი იმართება, რომელსაც ბოლო ხანს სტოკჰოლმის სუპერ გრან პრის ეძახიან და დაარსებიდან 40 წლისთავზე შეხვედრა მართლაც სუპერი გამოვიდა.

1912 წელს აშენებულ ოლიმპიურ სტადიონს მაყურებელი არ აკლდა, სარბენ ბილიკებს მორბენლები, მორბენლებს კი რაღაც განსაკუთრებულის გაკეთების მოტივაცია. ორგანიზატორებმა განსაკუთრებული ჯილდო დააწესეს, რომელიც ნებისმიერს აცდუნებდა და თავის გამოდებისკენ უბიძგებდა — ყველას, ვინც რაიმე სახეობაში სტადიონის რეკორდს გააუმჯობესებდა, დამატებით ჯილდოდ ერგებოდა ერთკარატიანი ბრილიანტის კენჭი, რომლის ღირებულებაც 10 000 დოლარადაა შეფასებული. მოგეხსენებათ, სარბენი ბილიკები ბრილიანტებით არაა მოკირწყლული და სპორტსმენებმაც ისე მოიწადინეს, რომ ერთბაშად 7-მა გააუმჯობესა სტადიონის ძველი რეკორდი. ესენი არიან — ასაფა პაუელი (100 მ. კაცებში), ჯერემი უორინერი (400 მ. კაცებში), შერონ სიმპსონი (200 მ. ქალებში), კაისა ბერგკვისტი (სიმაღლეზე ხტომა ქალებში), მესერეტ დეფარი (3000 მ. ქალებში), პოლ კოეჩი (3000 მ. წინაღობებით კაცებში) და ანდრეას ტორკილდსენი (შუბის ტყორცნა კაცებში).

100 მეტრზე კაცთა სპრინტში სტადიონის ძველი რეკორდი თვით მორის გრინის ტერფს ეკუთვნოდა — 1999 წელს მან 9,87 წამში გაირბინა უმოკლესი დისტანცია. პაუელმა გუშინწინ ეს 9,86 წამში შეძლო და გრინს რეკორდი ჩამოართვა, ორგანიზატორებს კი ბრილიანტი და ძნელი სათქმელია, რომლით უფრო ნაამები დარჩა.

ასევე იამაიკელმა სპრინტერმა და პაუელის პარტნიორმა (ოღონდ სარბენ ბილიკზე ვარჯიშის და არა ცხოვრების) შერონ სიმპსონმა მოულოდნელად გაასწრო სადღეისოდ ქალებში 200 მეტრის ყველაზე სახელიან ქალბატონს, ამერიკელ სანია რიჩარდსს. სიმპსონმა 200 მეტრი ზუსტად 22 წამში გალია და 0,02 წამი ჩამოაჭრა 1994 წელს დამყარებულ რუსი ირინა პრივალოვას სტადიონის რეკორდს. ეს 22 წამი ქალთა 200 მეტრში სეზონის რეკორდიცაა. მოკლედ, მოინდომა ქალმა ბრილიანტი და მიიღო.

400 მეტრის მეფე ჯერემი უორინერი ისედაც ყველგან ყველაფერს იგებს და აქაც ქურციკის სისწრაფით შემოურბინა მინდორს — 44,02 აჩვენა და ძველ რეკორდს ერთბაშად 0,51 წამი ჩამოაჭრა. ხომ ასე გადასარევად ირბინა, მაგრამ მაინც გული დასწყდასავით — 44 წამზე ნაკლებს ვგეგმავდიო. თუმც პაწია ბრილიანტმა ამ დაუკმაყოფილებლობის გრძნობის გასაქანი არ მისცა.

შვედები, მაყურებლებიცა და ორგანიზატორებიც, ყველაზე მეტად იმან გაახარა, რომ ბრილიანტები ტყუილად არ დაფანტულა და ერთი მათ თანამემამულესაც შეხვდა. შვედმა სიმაღლეზე მხტომელმა გოგომ კაისა ბერგკვისტმა ფიორა შანსიც არ დაუტოვა ფეხმძიმე კონკურენტებს და 2,02 მეტრს გადაავლო სხეული მაშინ, როდესაც სხვები 1,96 მეტრს ვერ ასცდნენ. სტადიონის ძველი რეკორდი ზუსტად 2 მეტრი იყო. ბრილიანტი რომ გაინაღდა, კაისას უფრო მაღლა ფრენა მოუნდა და მსოფლიოს რეკორდსაც კი შეეთამაშა — ერთბაშად 2,10 მეტრამდე ააწევინა თამასა, თუმც აქ უკვე ფრთები მოეწვა, მაგრამ მაინც კმაყოფილმა დატოვა სარბიელი.

ქალებში 3000 მეტრის ძველმა რეკორდსმენმა, კენიელმა ედიტ ჭასაიმ და ეთიოპიელმა მესერეტ დეფარმა ერთმანეთთან და სხვებიან ერთად დიდი „მიდი, მოვდივარ“ გაჩაღეს. 3 კილომეტრზე ლიდერიც რამდენჯერმე შეიცვალა, ბოლოს კი მაინც დეფარი გაიჭრა, ფინიშზე სტარტიდან 8 წუთსა და 29,66 წამში მიიჭრა და მასაის 2002 წლის მიღწევას 16 წამი ჩამოაჭრა. „მე უბედნიერესი ქალი ვარ. მადლობა სტოკჰოლმს“ — თვალცრემლიანობდა ბრილიანტის მიმღები ეთიოპელი ოლიმპიური ჩემპიონი.

კაცთა წინაღობებიან 3 კილომეტრზე კენიელმა პოლ კიპსეილე კოეჩმა სულ 0,3 წამით გააუმჯობესა თანამემამულე უილსონ კიპკეტერის რეკორდი, რომელიც მას 2000 წელს დაუმყარებია.

ბრილიანტის მეშვიდე მომგები კი შვედთა გულსახეთქად მათი მეზობელი ნორვეგიის შვილი, მძლავრი შუბმტყორცნი ანდრეას ტორკილდსენია, რომელმაც სტოკჰოლმში სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, მაგრამ ახლა გვარიანად მობერებულ იან ჟელეზნის აჯობა და შუბი 89,78 მეტრზე გასტყორცნა, რითაც 20 სანტიმეტრით აჯობა ამ სტადიონზე შუბის ყველაზე შორს გამსროლის, 1990 წელს აქ მსოფლიოს რეკორდის დამამყარებული სტივ ბეკლის შედეგი.

კოტე ყორშია

ედი მერქსი

იოპ ზოტემელკი

ზოტემელკის 16 ტური და მერქსის 111 ყვითელი დღე

ამ ერთხელაც დავუბრუნდეთ ახლახანს დასრულებული „ტურ დე ფრანსის“ თემას. უფრო სწორად, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი ლეგენდარული რბოლის ისტორიას და „ტურის“ რამდენიმე რეკორდზე გავამახვილოთ ყურადღება.

ყველაზე მეტი — 16 „ტური“ იოპ ზოტემელკის ანგარიშზეა. ამ ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა 1970 წლიდან მოყოლებული 1986 წლის ჩათვლით მთელი ეპოქა შექმნა და ტრავმის გამო მხოლოდ 1974 წლის რბოლა გამოტოვა. ზოტემელკი წლების მანძილზე იყო ჯერ ედი მერქსის, ხოლო შემდეგ ბერნან ინოს უმთავრესი კონკურენტი, ამ ორ დიადთან ჭიდილში ექვსჯერ გავიდა მეორე ადგილზე და 1980 წელს კი სანუკვარი ყვითელი მაისურაც მოირგო ელისეს მინდვრებზე.

15-15 „ტურის“ მონაწილეები არიან ბელგიელები ლუსიენ ვან იმპი და გაი ნიულენსი და ახლა მათ კომპანიაში რუსი ვიაჩესლავ ეკიმოვიცაა, რომელმაც განაცხადა, რომ წლევანდელი „ტური“ ბოლო იქნება მის კარიერაში და სეზონის დასასრულს პედლების ტრიალს თავს დაანებებს.

მათ შორის, ვისაც 14-ჯერ შეუკრავს „დიდი მარყუჟი“, ფრანგი რიმონ პოლიდორიცაა და ამ 14 ცდიდან რვაჯერ პოლიდორმა რბოლა პოდიუმზე, ანუ საერთო ჩათვლის პირველ სამეულში დასრულა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია, თუმცა ეგრეც ვერ მოახერხა „ტურის“ მოგება.

რვაპოდიუმიან პოლიდორს 7-7 კვარცხლბეკით უკან ზოტემელკი, ამერიკელი ლენს არმსტრონგი და გერმანელი იან ულრიხი მიყვებიან, ოღონდაც, ამსტრონგი შვიდჯერვე პირველი იყო, ხოლო ზოტემელკმა და ულრიხმა მხოლოდ თითო ტრიუმფი გადაიხადეს. ისე, ულრიხი რბოლიდან რომ არ მოეკვეთათ, ალბათ მერვედაც შედგებოდა პოდიუმზე და იქნებ ჩემპიონიც გამხდარიყო. ამის საშუალება გერმანელს კიდევ ექნება და ვინ იცის, იქნებ გაიმეოროს კიდეც პოლიდორის რეკორდი.

ბევრჯერ თქმულა და თავისი 7 ტიტულით არმსტრონგი აბსოლუტური რეკორდსმენია და ორი გამარჯვებით უსწრებს სხვა დიადებს, ხუთ-ხუთგზის ტრიუმფატორებს — ფრანგ ჟაკ ანკეტილს, ბელგიელ ედი მერქსს, კიდევ ერთ ფრანგ ბერნარ ინოსა და ესპანელ მიგელ ინდურაინს. აი, სხვა უმნიშვნელოვანეს ნომინაციებში — მოგებული ეტაპების რაოდენობითა და ყვითელმაისურიანი დღეებით მერქსი ლიდერობს და მის რეკორდებს კარგა ხანს ვერავინ შეეხება. მერქს 34 ეტაპი აქვს ტურზე მოგებული. მეორე ადგილზე 28 გამარჯვებით ინოა, ხოლო შემდეგ 25-25 მოგებით არმსტრონგი და ფრანგი ანდრე ლედიუკი მოდიან.

რაც შეეხება ყვითელმაისურიან, ანუ „ტურის“ ლიდერის რანგში გატარებულ დღეებს, მერქსს 111 დღის განმავლობაში ეცვა ყვითელი მაისურა. მეორე ადგილზე 81 დღით არმსტრონგია. შემდეგ კი ინო (79), ინდურაინი (66) და ანკეტილი (52) მოდიან.

კიდევ ერთიც — უკვე მეორე „ტური“, 1904 წელს, 19 წლის ფრანგმა ანრი კორნემ მოიგო და ეს რეკორდი, აგერ საუკუნეზე მეტია, ხელშეუხებელია — უფრო ახალგაზრდას „ტური“ აღარავის მოუგია. რაც შეეხება ხანდაზმულობის რეკორდს, მისი მფლობელი კიდევ ერთი ფრანგი ფირმან ლემბოა, რომელმაც 1992 წელს 36 წლის ასაკში გადაიხადა ტრიუმფი.

გია მუჯირი

ევროპის ჩემპიონატი საწყლოსნო სახეობებში ბუდაპეშტი. 26 ივლისი — 7 აგვისტო

ბუდაპეშტი ბალატონით დაიწყო

გუშინ ბუდაპეშტში მოცურავეთა ევროპის 28-ე ჩემპიონატი დაიწყო. უფრო ზუსტად დაიწყო არა თვით ბუდაპეშტში, არამედ რამდენიმე ათეული კილომეტრით მოშორებულ უმშვენიერეს ბალატონის ტბაზე. პირველ მედლები არა აუზში, არამედ სწორედ ღია წყალში გათამაშდა.

ბალატონზე ქალებში 5 კილომეტრზე ცურვაში რუსმა ეკატერინა სელვისტოვამ იმარჯვა, რომელმაც ამ დისტანციას საათზე ოდნავ მეტი მოანდომა — 1 საათი, 1 წუთი და 50,8 წამი. 5 კილომეტრი ნამდვილად არ არის მოკლე მანძილი, თუმც ცურვის დასასრული მაინც ისეთი გამოვიდა, თითქოს გოგონები ერთმანეთს 100 და 200 მეტრზე ეჯიბრებოდნენ. გამარჯვებულს მხოლოდ წამნახევრით ჩამორჩა ფრანგი კეტი დიტრისი, რაც დაახლოებით ორი მეტრია. ხოლო მესამე ადგილზე გასული ჩეხი იანა პეჩანოვა და რუსი ლარისა ილჩენკო გამარჯვებულს 1,6, ხოლო მეორეადგილოსანს 0,1 წამით ჩამორჩნენ.

გაიმართა კაცებს შორის 10 კილომეტრზე ცურვაც, რომელიც გერმანულმა ლერცმა 1:58. 12,1 შედეგით მოიგო. მეორე იყო ჰოლანდიელი ვან დე ვეიდენი (1:58. 13,5), მესამე კი ასევე გერმანელი ჰეინი (1:58. 16,6).

AFP

სიკვდილის ველიდან

AFP

კალიფორნიული ულტრამარათონი, რომელშიც სპორტულად მოარულნი მონაწილეობენ, ბარე 217 კილომეტრის სიგრძისაა, ბადუოტერში იწყება და ლოუნ ფაინში სრულდება. ბადუოტერი, რომელიც სიკვდილის ველზე მდებარეობს, ჩრდილო ნახევარსფეროს ყველაზე დაბალი ადგილია და ზღვის დონის დაბლა, 135,5 მეტრზე მდებარეობს, აღმართ-აღმართ უდაბნოში სიარული და 2 513 მეტრი სიმაღლის ვიტნი პორტალის მთების გადასვლა ბევრს არავის შეუძლია. სიკვდილის ველზე კი ტემპერატურა 52 გრადუსია.

გამარჯვებული კი შარშანდელია: დევიდ გოგინსი.

ამ კაცს ვინმე დაამარცხებს?

AFP სიდნეიდან

დიდი სიტროენობა

სიდნეიში დიდი, 28-დღიანი ავტოგარბენი იწყება. გზად 7 ათასი კილომეტრია, რბოლა კი 18 აგვისტოს დარვინში გასრულდება. საინტერესო კი ისაა, რომ გარბენში მხოლოდ ფრანგული „სიტროენები“ მონაწილეობენ და ისიც ისინი, რომლებიც 1934-დან 1957 წლამდე გამოუშვიათ.

მაღალთა დასაწყისი

ანძამაღალ გემთა მეოცე შეჯიბრი იწყება. პორტუგალიური „საგრეში“ ლისაბონის ნავსადგურიდან გადის, რათა 80 სხვა გემთან ერთად ვლოს ატლანტიკა.

AFP ლისაბონიდან

ბოსფორის მებრძოლნი

უკვე მეთვრამეტე წელიწადია, სტამბოლში ზღვაში ცურვის ოსტატები იკრიბებიან და ბოსფორის სრუტის გადაცურვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აქ წაგებული არ არსებობს, ყველა, ბოლოს მოსულიც კი გმირია.

AFP სტამბოლიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოფერია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბარო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00